ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## სროლა აღსრულების ბიუროსთან




დაჭრილი არჩილ მამაგეიშვილი გარდაიცვალა

**19 ივლისიდან**

ჰენრიკ სენკევიჩი

**ჯვაროსნები**

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




სამშაბათი, 19 ივლისი, 2016 №169 (7095) ფასი: 50 თეთრი

# რატომ გადააგდეს ჩაფიძე, ნიშნიანიძე, კობახიძე და ლორთქიფანიძე


გვ.2









„ქართულმა ოცნებამ“ იმერეთში მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა

## ღარიბაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება?


გვ.4

## „ირაკლი სესიაშვილმა ქვეყნის უსაფრთხოებას პრობლემები შეუქმნა“


გვ.3

ზვიად კუპრავა: „კალაძე თანამდებობას პირადი ანგარიშსწორებისთვის იყენებს“





## ბურჭულაძის კვლევებით, ნაცმოძრაობა პირველ ადგილზეა


გვ.4

მერაბ მეტრეველი: „ჩვენ კვლევა არ ჩაგვიტარებია“

„ვინც გვაბრალებს, რომ ნაციონალებისთვის ხელისუფლების გადაბარება გვინდა, ლოგიკასთან მწყრალადაა“


გვ.5

## გიგა ბუკია: „მაჟორიტარობა არ მინდა“


გვ.6

## ვახტანგ მაისაია: „არ არის გამორიცხული, თურქეთი ნატოდან გავიდეს“

## მამუკა არეშიძე: „ერდოღანმა ამბოხით მაქსიმალურად ისარგებლა“


გვ.7


გვ.7

## სულხან ღლონტი: „პატარაძეს მხარი რომ დავუჭირე, სწორად მოვიქეცი“

ISSN 1987-9385

# რატომ გადააგდეს

# ჩაფიძე, ნიშნიანიძე, კობახიძე და ლორთქიფანიძე

## „ქართულმა ოცნებამ“ იმერეთში მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულმა ოცნებამ“, როგორც იქნა, მაჟორიტარი დეპუტატების წარდგენა დაიწყო. პარტიას მათი წარდგენა თვის დასაწყისიდან სურდა, მაგრამ მაჟორიტართა შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. მაჟორიტარების საქმეში რომ კარგად ვერა აქვთ საქმე, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ გუშინ, 18 ივლისს, მხოლოდ იმერეთის რეგიონში წარადგინეს კანდიდატები.

თავიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მაჟორიტარობის კანდიდატებს შორის რამდენიმე მოქმედი დეპუტატი და მინისტრი იქნებოდა. ამბობდნენ, რომ სამტრედიაში „ოცნებას“ კალაძე წარადგენდა, საჩხერეში კი ისევ მანანა კობახიძეს უნდა ეყარა კენჭი.

ტყიბულის მოქმედი მაჟორიტარი დეპუტატი ელისო ჩაფიძე ამტკიცებდა, რომ ისევ ამ რაიონში იყრიდა კენჭს. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით ლორთქიფანიძე დარწმუნებული იყო, რომ ხონსა და ვანში მას წარადგენდნენ.

ცვლილებების თანახმად, ქუთაისმა 3 მაჟორიტარი დეპუტატი უნდა აირჩიოს. ამბობდნენ, რომ აქ ქალაქში მაჟორიტარობის ერთ-ერთი კანდიდატი დეპუტატი ომარ ნიშნიანიძე უნდა ყოფილიყო.

მოლოდინმა არ გაამართლა. „ქართულმა ოცნებამ“ იმერეთში მაჟორიტარებად, ძველი, მაგრამ შედარებით ახალი სახეები წარადგინა.



კანდიდატების წარდგენა ქუთაისში მოხდა. ღონისძიებას იმერეთის რაიონებიდან ჩასული მეოცნებეები ესწრებოდნენ. საოცნებო კანდიდატები პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა წარუდგინა საზოგადოებას.

კვირიკაშვილის განცხადებით, ქუთაისის 47-ე ოლქში კენჭს იყრის გენადი მარგველაშვილი (ქუთაისის ფიზიკა მათემატიკის სკოლის დირექტორი), ქუთაისის 48-ე ოლქში დიმიტრი მხეიძე (ექიმი), ქუთაისის 49-ე ოლქში კობა ნარჩემაშვილი (ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი).

წყალტუბოში „ოცნების“ ფალავანი ცოტნე ზურაბიანი (იურისტი, იმერეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი) იქნება, ზესტაფონში – შალვა კიკნაველიძე. ამ უკანასკნელმა სულ ახლახან დატოვა ეროვნული ფორუმი და „ქართულ ოცნებას“ შეუერთდა. მაშინვე ითქვა, რომ მას ან სიაში შეიყვანდნენ, ან მაჟორიტარად წარადგენდნენ. კიკნაველიძემ თავიდან ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. 18 ივლისს კი ბედნიერად გრძნობდა თავს მაჟორიტარობის კანდიდატის ამპლუაში.

თერჯოლა-ტყიბულში „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს ელგუჯა გოცირიძე (მედიცინის დოქტორი, ჩაჩავას კლინიკის გენერალური დირექტორი), საჩხერეში – პაატა კვიჟინაძე (პარლამენტის წევრი, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის მონაწილე). ეს უკანასკნელი კონსერვატორების პარტიის წევრია.

ჭიათურაში სულხან მახათაძე (ჭიათურის გამგებელი) იქნება საოცნებო კანდიდატი, ბაღდათი-ხარაგაულის ოლქში – კობა ლურსმანაშვილი (ხარაგაულის გამგებელი), სამტრედიაში გია მიქელაძე. ვანი-ხონის ოლქში კი – გრიგოლ ლილუაშვილი.

ლილუაშვილი ცოტა ხნის წინ თბილისის მერის მოადგილედ დაინიშნა. ის „ქართუ ჯგუფიდან“ არის წარმოშობით. მაშინ ითქვა, რომ მისი სახით ივანიშვილმა დავით ნარმანიას მაკონტროლებელი დაუნიშნა. დედაქალაქის საკრებულოში ამბობდნენ, რომ ნამდვილი მერი სწორედ ის იყო.

დე ფაქტო მერი ახლა დე იურე დეპუტატობისთვის იბრძოლებს. მისი შემცვლელის მოსაძებნად კი კონსულტაციები დაიწყო.

შემცვლელად რამდენიმე კანდიდატურა განიხილება. დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილის განცხადებით, ახლა კონკრეტული სახელებისა და გვარების დასახელება უხერხული იქნება.

კითხვაზე, შესაძლოა თუ არა ლილუაშვილის შემცვლელად ბექა ოდიშარია დაინიშნოს, საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს კონსულტაციები რამდენიმე კანდიდატურაზე და წინასწარ გვარებს ვერ დაასახელებს.

დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ლილუაშვილს არჩევნების მოგება გაუჭირდება.

– ის არ დაბადებულა და არ გაზრდილა ვანში. ზოგადად, ვანი ძალიან რთული რაიონია და ამიტომ მას რთული ბრძოლა ელოდება. პოლიტიზირებულია იქაურობა და კანდიდატი თუკი არ არის შინაური, ძალიან გაუჭირდება, – განაცხადა ლორთქიფანიძემ ჟურნალისტებთან საუბარში.

## თბილისის მერია მიკროავტობუსებში კონდიცირების მონიტორინგს იწყებს



თბილისის მერია მიკროავტობუსებში კონდიცირების მონიტორინგს იწყებს. ამასთან დაკავშირებით დედაქალაქის მერია განცხადებას ავრცელებს.

– თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს დედაქალაქში მოძრავ მიკროავტობუსებში გაგრილების სისტემის მონიტორინგისთვის სპეციალური ჯგუფების შექმნა დაავალა.

მერიის მონიტორინგის ჯგუფები მუშაობას 18 ივლისიდან შეუდგებიან და კომპანიას რეაგირებისთვის გადასცემენ იმ მიკროავტობუსების სიას, რომლებსაც მგზავრების გადაყვანისას კონდიციონერები არ ექნებათ ჩართული.

„თბილისის მიკროავტობუსი“ თბილისის მერიასთან თანამშრომლობის მზადყოფნას გამოთქვამს. კომპანიის განცხადებით, ურჩი მძღოლების წინააღმდეგ სანქციები გატარდება, – ნათქვამია თბილისის მერიის განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# სროლა აღსრულების ბიუროსთან

## დაჭრილი არჩილ მამაგეიშვილი გარდაიცვალა

გუშინ, 18 ივლისს, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან მომხდარი სროლისას დაჭრილი არჩილ მამაგეიშვილი გარდაიცვალა. მას ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში რამდენიმესაათიანი ოპერაცია უტარდებოდა, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მამაგეიშვილს რამდენიმე ცეცხლნასროლი ჭრილობა აღენიშნებოდა. ის სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა ღუდუშაურის კლინიკაში მოათავსეს.

არჩილ მამაგეიშვილს 7 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. დაჭრილია ასევე თავდამსხმელი, რომელმაც არჩილ მამაგეიშვილს და მის თანმხლებ პირს ცეცხლი გაუხსნა.

თვითმხილველის ინფორმაციით, თავდამსხმელსა და დაჭრილს შორის დაძაბული საუბარი თავდაპირველად აღსრულების ეროვნული ბიუროს მისაღებში მიმდინარეობდა, რის შემდეგაც ისინი გარეთ გავიდნენ, რამდენიმე წუთში კი სროლის ხმა გაისმა.

– საუბრობდნენ მისაღებში – რა საჭირო




იყო ჩემი ასე ძებნა, მეც ხომ თანამშრომელი ვარ. ასეთი საუბრები მესმოდა, რის შემდეგაც ეს ადამიანები გარეთ გამოვიდნენ. დავინახეთ, რომ თავდამსხმელი უკნიდან მიუახლოვდა ორ პირს და ზურგიდან, შეიძლება ითქვას, გვერდიდან ესროლა. შემდეგ თავდამსხმელს დაჭრილის თანმხლებმა პირმა ესროლა და ისიც დაჭრა. ანუ იყო ორმხრივი სროლა. გავიგე დაახლოებით 8 თუ 9 გასროლა, – განაცხადა თვითმხილველმა ვლადიმერ შენგელიამ.

კითხვაზე, იყვნენ თუ არა თავდამსხმელი და დაჭრილი სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები, თვითმხილველმა აღნიშნა, რომ ის ამ ინფორმაციას არ ფლობს.

– როგორც ჩანს, ალბათ, ორივე სამართალდამცავი იყო, – განაცხადა შენგელიამ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღსრულების ეროვნული ბიუროს ეზოში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიება ორი მუხლით დაიწყო.

როგორც ინტერპრესნიუსს უწყებაში განუცხადეს, სისხლის სამართლის საქმე 19-108-ე და 236-ე მუხლებით აღიძრა, რაც, შესაბამისად, განზრახ მკვლელობის მცდელობასა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

– მომხდარ ინციდენტს აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან არანაირი კავშირი არ აქვს, – ამის შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა, პაატა შამუგიამ განუცხადა.

მისი თქმით, თანამშრომლებმა მუშაობის პერიოდში გაიგონეს სროლის ხმა, რის შემდეგაც გაირკვა, რომ მოქალაქეებს შორის დაპირისპირება მოხდა.

**პაატა შამუგია:**

– დაპირისპირება მოქალაქეებს შორის აღსრულების ეროვნული ბიუროს ეზოში მოხდა. ცეცხლსასროლი იარაღიდან იყო რამდენიმე გასროლა. დაჭრილია ორი ადამიანი და ისინი საავადმყოფოებში არიან გადაყვანილი სასწრაფო დახმარების მიერ.

## ნიცაში მომხდარი ტერაქტის შედეგად დაკარგული საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილთა შორის აღმოჩნდა



ნიცაში მომხდარი ტერაქტის შედეგად დაკარგული საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილთა შორის აღმოჩნდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საფრანგეთში საქართველოს ელჩმა, ეკა სირაძე-დელონემ განუცხადა, უკვე დადასტურდა, რომ გარდაცვლილთა შორის, ერთ-ერთი მამაკაცი ქართველია.

არსებული ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე ნიცაში მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა. ტერაქტის შედეგად მისი ცოლიც დაიღუპა, რომელიც საფრანგეთის მოქალაქე იყო.

ბოლო მონაცემებით, ნიცაში თავდასხმის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 84-მდე გაიზარდა.

ნიცაში, სადაც მოსახლეობა ეროვნულ დღესასწაულს, ბასტილიის აღების დღეს აღნიშნავდა, ხალხში სატვირთო ავტომობილი შევარდა და უამრავი ადამიანი გადასრისა, რის შემდეგაც იქ მყოფებს ცეცხლი გაუხსნა. ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა თავდამსხმელის ლიკვიდაცია მოახდინეს. პასუხისმგებლობა თავდასხმისთვის „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

**ინტერპრესნიუსი**

## ალექსანდრე ჯეჯელავა: „კითხვაზე, მომწონს თუ არა ნარჩემაშვილი, გიპასუხებთ, რომ მე მომწონს ჩემი მეუღლე“



– კითხვაზე, მომწონს თუ არა კობა ნარჩემაშვილი, გიპასუხებთ, რომ მე მომწონს ჩემი მეუღლე, – ამის შესახებ ჟურნალისტებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ განუცხადა.

მინისტრი იმ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმად „ქართული ოცნება“ კობა ნარჩემაშვილს ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატად წარადგენს. ჯეჯელავას თქმით, ის პარტიულ საქმიანობაში არ ერევა და მისი კანდიდატურის შერჩევაზე კონკრეტიკისგან თავს იკავებს.

**ალექსანდრე ჯეჯელავა:**

– მე არ ვარ პარტიული და პროცესებშიც არ ვმონაწილეობ. რატომ და რა მიზნით შეირჩა მისი კანდიდატურა, ვერ გეტყვით. რაც შეეხება მომწონს თუ არა ნარჩემაშვილი, გიპასუხებთ, რომ მე მომწონს ჩემი მეუღლე.

რაც შეეხება მის ნასამართლეობას, გიპასუხებთ, ჩვენ გვაქვს კანონი, რომ რაღაც პერიოდის გასვლის შემდგომ ნასამართლეობა აღარ ითვლება ხელის შემშლელად. ვინ მოხვდება პარლამენტში და ვინ ვერა, ეს ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ირაკლი სესიაშვილმა ქვეყნის უსაფრთხოებას პრობლემები შეუქმნა“

## ზვიად კუპრავა: „კალაძე თანამდებობას პირადი ანგარიშსწორებისთვის იყენებს“

შორენა მარსაგიშვილი



არის თუ არა მზად საქართველო მის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რამდენად დაცულია საიდუმლო ინფორმაციები, რატომ აღარავინ ითანამშრომლებს ქართულ სპეცსამსახურებთან? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელი **ზვიად კუპრავა** ესაუბრება.

***– ცოტა ხნის წინ თქვენ ირაკლი სესიაშვილი სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებაში დაადანაშაულეთ და მთავარ პროკურატურას მისი დაკითხვისკენ მოუწოდეთ. მოხდა თუ არა მისი დაკითხვა?***

– რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ამ დრომდე მისი დაკითხვა არ მომხდარა. ჩვენი ორგანიზაცია დღემდე ითხოვს მის დაკითხვას. რამდენიმე კვირის წინ სესიაშვილმა რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გააკეთა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ახმედ ჩატაევი საქართველოს აგენტი იყო და ის წინა ხელისუფლებამ დაავერბოვკა.

ეს ინფორმაცია სიმართლეს თუ არ შეეფერება და სესიაშვილმა მხოლოდ იჭორავა, მაშინ მან პასუხი პოლიტიკურად უნდა აგოს და ეს პოლიტიკოსების საქმეა. თუ ჩატაევი ნამდვილად იყო აგენტი, მაშინ ეს ინფორმაცია წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, რომელიც სესიაშვილმა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით მიიღო. მას, როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ბევრ საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი. რაც მან გააკეთა, ეს არის დანაშაული და ამაზე პასუხი სამართლებრივად უნდა აგოს. ის მინიმუმ დაკითხული უნდა იყოს.

***– თავად სესიაშვილი ამბობს, რომ კანონი არ დაურღვევია.***

– როგორ არ დაარღვია. ქვეყანაში არსებობს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის შესახებ. ეს კანონი იცავს სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებისგან. ესა თუ ის თანამდებობის პირი, რომელიც ფლობს სახელმწიფო საიდუმლოებას, ვალდებულია, შეინახოს ის. მას არა აქვს უფლება, ამის შესახებ პირად საუბრებში ისაუბროს, აღარაფერს ვამბობ საჯარო სივრცეში განცხადებების გაკეთებაზე. სესიაშვილმა კი პირდაპირ ეთერში გააჟღერა საიდუმლო ინფორმაცია, რითაც მან ქვეყანას გარკვეული საფრთხეები შეუქმნა.

***– რა საფრთხეებზეა საუბარი?***

– ამ საფრთხეების შესახებ შესაძლოა საზოგადოებამ ვერც კი შეიტყოს, მაგრამ ეს ინფორმაცია საქართველოს უსაფრთხოებას აუცილებლად დააზიანებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩატაევთან დაკავშირებული ინფორმაციის გაჟღერებით საქართველოს იმიჯი შეელახა. არ არის ლამაზი, როცა თანამდებობის პირი საიდუმლო ინფორმაციას აჟღერებს. სესიაშვილმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ის ხელისუფლებას წარმოადგენს და მის მიერ გაკეთებულ ნებისმიერ განცხადებას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა.

ამერიკას, დიდ ბრიტანეთს, ისრაელს, საქართველოს და ნებისმიერ ქვეყანას ჰყავს თავისი დაზვერვა, რომლის სამუშაო სპეციფიკა აგებულია აგენტურულ ქსელზე. ეს უშიშროების სამსახურების აპრობირებული და წარმატებული პრაქტიკაა.

***– გამოდის, რომ ჩატაევი, შესაძლოა, მართლაც ყოფილიყო აგენტი?***

– მე არ ვიცი, იყო თუ არა ჩატაევი აგენტი და რომც ვიცოდე, ამ ინფორმაციას არავითარ შემთხვევაში არ გავაჟღერებდი. მისი პოტენციალის მქონე ადამიანის დავერბოვკება არის ურთულესი საქმე. ამის გარდა, მისი მსგავსი პირების დახმარებით შეიძლება აღკვეთილ იქნას მომავალში დაგეგმილი ტერორისტული აქტები. ტერაქტებთან დაკავშირებული ინფორმაცია სწორედ ტერორისტებს და ამ წრესთან დაახლოებულ პირებს აქვთ. ჩატაევი კი ამ წრესთან დაახლოებული პირი იყო.

ჩატაევის აგენტობასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ჩვენს უშიშროებასთან არავინ აღარ მოისურვებს თანამშრომლობას, რაც ქვეყნის უსაფრთხოებას დააზარალებს. თანამშრომლობაზე უარს იტყვიან დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებიც. უშიშროება მათგანაც სერიოზულ ინფორმაციებს ღებულობს.

***– თანამშრომლობას რატომ აღარ მოისურვებენ?***

– სესიაშვილის განცხადების შემდეგ თავს არავინ აღარ იგრძნობს დაცულად. არ არის გამორიცხული, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათი გვარებიც დაასახელონ. არადა ამ დროს შესაძლოა ჩვენი უშიშროება ტერორისტებთან დაახლოებული სხვა პირების გადმობირებაზე მუშაობს, რომელთა დახმარებითაც შესაძლოა, აქ ტერაქტების ან სხვა რაიმე უბედურების პრევენცია მოხდეს. აგენტურული ქსელის გარეშე საფრთხეები იზრდება. უშიშროება რჩება ინფორმაციის გარეშე და ვერც პრევენციულ ღონისძიებებს გაატარებს.

***– ადრე თუ მომხდარა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ საიდუმლო ინფორმაციის საჯაროდ გაჟღერება?***

– არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის ხელისუფლების დროს მსგავსი ინფორმაციების გაჟღერება არ მომხდარა. პირადად მე ასეთ ფაქტს ვერ ვიხსენებ. თუ ასეთი რამე მოხდა, მაშინ ეს საქმეც უნდა გამოიძიოს პროკურატურამ. კანონმდებლობით დაუშვებელია, რომ იმ პირებმა, ვისაც სახელმწიფო საიდუმლოზე მიუწვდება





ზვიად კუპრავა

ხელი, ეს ინფორმაციები გააჟღერონ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ისინი არიან თუ არა თანამდებობაზე. ასე რომ, სესიაშვილს ამის თქმის უფლება თანამდებობიდან გადადგომის შემდეგაც კი არ ჰქონდა.

***– ვართ თუ არა მზად იმ გამოწვევებისთვის, რაც დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშეა?***

– რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური პროცესები განიცდის ცვლილებებს. ის, რაც ჩვენს სამეზობლოში ხდება, ტოვებს არასტაბილურობის განცდას. ეს პროცესები ჩვენთვის სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს, თუ სწორ გზას ავირჩევთ.

***– სწორ გზაში რას გულისხმობთ?***

– ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ყველას, რომ ვართ სტაბილური ქვეყანა. ამის დამტკიცება იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ არჩევნებს მართლა დემოკრატიულად ჩავატარებთ. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ არჩევნების წინ ადგილი არ ჰქონდეს ძალადობას. საქართველოს დღეს, როგორც არასდროს, აქვს შანსი გახდეს როგორც შუა აზიაში, ასევე ახლო აღმოსავლეთში, დასაყრდენი დასავლეთისთვის.

***– ვრცელდება ინფორმაციები, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები არჩევნების შემდეგ აპირებენ არეულობის მოწყობას.***

– თუ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება, არავინ მოისურვებს ქუჩაში პროტესტის გამოსახატავად გამოსვლას. თუ გაჩნდება ეჭვები, ადამიანები გამოვლენ საკუთარი ხმების დასაცავად, ამის უფლება ყველას აქვს. სწორედ ამიტომ ისე უნდა ჩატარდეს არჩევნები, რომ არავის გაუჩნდეს კითხვის ნიშნები.

***– არჩევნებით უკმაყოფილი ვიღაც ყოველთვის იქნება.***

– ერთი და ორი ადამიანის უკმაყოფილება ამინდს ვერ შექმნის, მე საყოველთაო უკმაყოფილებაზე ვსაუბრობ. ასეთი რამ ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას. არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სტაბილური იქნება წინასაარჩევნო კამპანია. „ქართულ ოცნებას“ აქვს იმის ფუფუნება, რომ არჩევნები მშვიდად ჩაატაროს. წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ქვეყანაში ნამდვილად კონსტრუქციული ოპოზიციაა.

***– ეს კონსტრუქციულობა რაში გამოიხატება?***

– დღევანდელი ოპოზიცია არც მარგველაშვილს და არც კვირიკაშვილს აქციებს არ უწყობს. 2012 წლის არჩევნების წინ სააკაშვილს რესტორანში უვარდებოდნენ და ჭამის საშუალებას არ აძლევდნენ. ასეთი აქციები არც ივანიშვილისთვის მოუწყვია ვინმეს.

***– ივანიშვილისთვის როგორ არ მოუწყვიათ, რეზიდენციასთან ხშირად აკითხავენ.***

– ეს არის მშვიდობიანი პროტესტი და ამას ვერავის აუკრძალავ. ამ 4 წლის განმავლობაში ქვეყანაში დესტაბილიზაცია არ ყოფილა. იმედია, ხელისუფლება ამას გაითვალისწინებს და კორცხელის მსგავს ფაქტებს აღარ ექნება ადგილი, რაშიც მე პირადად ეჭვი მეპარება.

***– ეჭვი რატომ გეპარებათ?***

– იმიტომ, რომ კორცხელის დარბევის ორგანიზატორები არავის დაუსჯია. მხოლოდ რამდენიმე შემსრულებლის წინააღმდეგ აღძრეს საქმე და მათაც საპროცესო გაუფორმეს. არადა, აქ მნიშვნელოვანი კახა კალაძის დაკითხვა იყო. არის სერიოზული ეჭვები, რომ ის დგას ამ ყველაფრის უკან. კორცხელის ინციდენტის შემდეგ ამ ადამიანმა რამდენჯერმე გაიხსენა კარალეთში მომხდარი.

***– 2012 წელს კარალეთში მომხდარი ინციდენტი კორცხელს არაფრით ჩამოუვარდებოდა.***

– ეს ინციდენტი აქამდე რატომ არავინ გაიხსენა? 4 წლის მანძილზე შეეძლოთ მისი გამოძიება. ამ თემაზე ხშირი საუბრით კალაძე ამტკიცებს, რომ კორცხელი ამის საპასუხოდ მოაწყო. გამოდის, რომ ის მაღალ თანამდებობას პირადი ანგარიშსწორებისთვის იყენებს.

# უილიამ კორტნი: „საქართველომ უნდა მოუწოდოს თურქეთს, რომ შურისძიებაზე უარი თქვას“

თურქეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ამერიკული რადიოსადგური „ამერიკას ხმა“ აშშ-ის გავლენიანი საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს წევრს, აშშ-ის ყოფილ ელჩს საქართველოსა და ყაზახეთში, ამჟამად კი ვაშინგტონში არსებული „რენდ კორპორაციის“ მკვლევარს **უილიამ კორტნის** ესაუბრა.



საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი გთავაზობთ ინტერვიუს ქართულენოვან ვერსიას.

***– თქვენი აზრით, რა მოხდა თურქეთში?***

– მომხდარმა მოსკოვის 1991 წლის პუტჩი გამახსენა. შეთქმულებს არ დაუკავებიათ პრეზიდენტი რეჯეფ ერდოღანი, ამიტომ, მან თავისი ხალხის მობილიზება მოახერხა. არც ბორის ელცინი დაუკავებიათ 1991 წელს და შეთქმულთა წინააღმდეგ მანაც თავისი ხალხი გამოიყვანა. აგრეთვე ჩანს, რომ ამბოხებას სამხედროების მხოლოდ ნაწილი მიემხრო. მოსკოვშიც ასე მოხდა: ზოგიერთმა სამხედრომ პუტჩს დაუჭირა მხარი, ზოგიერთმა არა. გაკვეთილი ისაა, რომ განათლებულ საზოგადოებებში გადატრიალებისა და სამხედროთა მმართველობის იდეები აღარავის მოსწონს.

***– რა გავლენა ექნება მომხდარს რეგიონზე, ახლო აღმოსავლეთსა და საქართველოზე?***

– შეერთებულ შტატებსა და ევროპას, როგორც ჩანს, სირიის საკითხთან პოლიტიკის გადახედვა მოუწევთ. დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია, რომ თურქეთი სტაბილური დემოკრატიის ქვეყანა იყოს. დასავლეთი უფრო მეტ ძალისხმევას თურქეთის სტაბილურობისკენ მიმართავს და შედარებით ნაკლებ ინტერესს გამოიჩენს სირიის მიმართ. დასავლეთისთვის სირია არაა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც თურქეთი. დასავლეთის, საქართველოსა და უკლებლივ ყველას ინტერესშია რეგიონში ძლიერი, სტაბილური, აყვავებული, დემოკრატიული თურქეთის ყოფნა.

***– როგორ აისახება მომხდარი ნატო-თურქეთის ურთიერთობებზე?***

– ნატო და მთლიანად დასავლეთი თურქეთის დამშვიდებას შეეცდებიან. რეჯეფ ერდოღანმა თქვა, რომ მომხდარმა არმიის გაწმენდის შესაძლებლობა გააჩინა. ეს არაა პოლიტიკა, რომელსაც რეჯეფ ერდოღანმა უნდა მისდიოს. მას სჭირდება პოლიტიკა, რომელიც ქვეყანას გააერთიანებს და არა – უფრო მეტად გაყოფს.

დამხობის მცდელობა ბევრწილად რეჯეფ ერდოღანის შურისმაძიებლური მმართველობის შედეგია. ქვეყანა საზოგადოების გაყოფითა და შურისძიებით არ იმართება. ამ მეთოდმა არ იმუშავა ეგვიპტეში, როდესაც ხელისუფლებაში „მუსლიმთა საძმო“ მოვიდა. ეს მეთოდი რეჯეფ ერდოღანისთვისაც უნაყოფოა.

საკითხავია, ისწავლის თუ არა ერდოღანი გაკვეთილს და ეცდება თუ არა ნაკლებად წინააღმდეგობრივი პოლიტიკის გატარებას, თუ პირიქით, გადაწყვეტს, რომ გაიმარჯვა – სინამდვილეში კი არ გაუმარჯვია – და შურს იძიებს: ბევრს დაიჭერს, ზოგიერთს მოაკვლევინებს კიდეც და უფრო მეტად გაყოფს ქვეყანას. ერდოღანმა ბორის ელცინისაგან უნდა ისწავლოს. 1991 წელს პუტჩის ლიდერებს დიდსულოვნად მოექცნენ. ამ ფაქტმა რუსეთს სტაბილურობა მოუტანა.

***– როგორ უნდა წარმართოს საქართველომ თურქეთთან ურთიერთობა?***

– საქართველოს თურქეთთან კარგი ურთიერთობა აქვს და ის უნდა შეინარჩუნოს. საქართველო, როგორც დასავლეთის ნაწილი, სტაბილური და დემოკრატიული თურქეთითაა დაინტერესებული. საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ ამავე დროს, როგორც დასავლეთის ნაწილმა, უნდა მოუწოდოს თურქეთს, გაატაროს ქვეყნის, ხალხის გაერთიანების პოლიტიკა და საზოგადოების გაყოფასა და შეთქმულების ორგანიზატორთა მიმართ შურისძიებაზე უარი თქვას.

***– როგორ გაგრძელდება ისლამურ სახელმწიფოსთან თურქეთის ბრძოლა?***

– სავარაუდოდ, თურქეთი უფრო მეტ ყურადღებას ქვეყნის შიდა საკითხებზე გადაიტანს, ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლა კი მეორე რიგში გადაინაცვლებს. თურქეთს მისი ხალხის გაერთიანება და გაძლიერება უფრო მეტად სჭირდება, ვიდრე სირიის პრობლემაში უწინდელივით აქტიური ჩართულობა.

**ნიუსპრესი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ღარიბაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება?

სოსო ზაალიშვილი

## პოლიტიკური ნადიმი რესტორან „ქართულ სახლში“

რამდენიმე დღის წინ სანაპიროზე მდებარე რესტორან „ქართულ სახლში“ ყოფილი პრემიერისა და მისი სიმამრის ნათესავებისა და მეგობრების შეხვედრა შედგა.



ამბობენ, რომ სუფრას ძირითად ლეიტმოტივად ღარიბაშვილისგან მესიის შექმნის იდეა გასდევდა. მას ერთგულებას ჰფიცავდნენ, ხოლო „ქართული ოცნება“ და ივანიშვილი უძღები შვილის როლში გამოჰყავდათ, რომელმაც ვერ დააფასა ირაკლის ღვაწლი.

საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ყველა სახის პოლიტიკური პარტია თუ საზოგადოებისთვის მეტნაკლებად ცნობილი ადამიანი გააქტიურდა.

კვირიკაშვილისა და ღარიბაშვილის გუნდებს შორის არაა მთლად გუნდური დამოკიდებულება. წყაროს ცნობით, ამის შესახებ საუბარი რესტორანში გამართულ სუფრაზეც ისმოდა.

ეს მართლაც ასეა – კვირიკაშვილი და მისი გუნდი მკვეთრად განსხვავდება ღარიბაშვილის გუნდის წარმომადგენლებისგან.

კვირიკაშვილი ხაზგასმით ევროპულ-ცენტრისტული ტიპის პოლიტიკოსად ყალიბდება, როდესაც ღარიბაშვილს ეროვნული-კონსერვატორული მანტია აქვს მორგებული.

კვირიკაშვილის პრემიერობისას მისი ოჯახის, ნათესავების, კლანური ბიზნესების შესახებ ინფორმაციით არაა აჭრელებული მედია. ღარიბაშვილის მმართველობის პერიოდში კი ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია მისი სიმამრის, გენერალ თამაზ თამაზაშვილისა და ნათესავების ბიზნესინტერესების შესახებ.

თავად ბიძინა ივანიშვილმაც არაერთხელ თქვა, რომ ღარიბაშვილს საკუთარ ნათესავებთან პრობლემები ჰქონდა და აღნიშნა კიდეც ახალგაზრდა ყოფილი პრემიერის „ამ დამსახურებების“ შესახებ, როდესაც „წარმატების ზენიტში“ მყოფმა ღარიბაშვილმა ბევრისთვის მოულოდნელად თანამდებობა დატოვა.

როდესაც პრემიერი კვირიკაშვილი ახალი სახეებით წარდგა ამომრჩევლების წინაშე, ექსპერტების და პოლიტტექნოლოგების გარკვეული ნაწილი, ასევე ზოგიერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერები ღარიბაშვილისგან საპასუხო ნაბიჯს ელოდნენ. სოციალურ ქსელებში, პრესაში და მედიის ნაწილში მრავალი გადაცემა თუ მასალა მიეძღვნა ღარიბაშვილისა და მისი გუნდის პოლიტიკაში ტრიუმფალური დაბრუნების გეგმას.

ახალგაზრდა პოლიტიკოსმა უარყო ასეთი გეგმის არსებობა, მაგრამ არ მგონია, რომ ეს ჭორები უსაფუძვლო ყოფილიყო.

ქვეყნის პოლიტიკურ ბაზარზე „ქართული ოცნება“ თითქმის ერთადერთი პოლიტიკური ძალაა, რომელსაც არ აქვს ფინანსური პრობლემები.

სახელისუფლებო პარტიის სტრატეგოსებმა საკუთარი გეგმა შეიმუშავეს არჩევნებში წარმატების მისაღწევად და ამ გეგმაში არ ზის ღარიბაშვილი თავის სიმამრითურთ და მათი სატელიტი პოლიტიკური პარტიებით და მედია საშუალებებით.

თავად ღარიბაშვილი კი პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებს და ამისთვის მას შესაძლებლობებიც გააჩნია. ესენია: მდიდარი ნათესავები, რომლებმაც, ზოგიერთი ცნობის თანახმად, სიმდიდრე სწორედ სიძის პრემიერობის დროს მოიხვეჭეს. მისი სიმამრის რეკომენდაციით დანიშნული მომხრეები შინაგან საქმეთა და სხვა სამინისტროებში. საკმაო რაოდენობის კომპრომატები, რომლებიც მის გუნდს შეიძლება დაეგროვებინა ძალისმიერ სტრუქტურებში მუშაობის დროს. მხრებზე მოსხმული ეროვნულ-კონსერვატორული მანტია, რომელშიც კარგად იმალებიან მისი გარემოცვის წარმომადგენლები.

შესაძლებელია ასეთი სქემის წარმოდგენა: ღარიბაშვილი საკუთარი გავლენის რეგიონებში მხარს დაუჭერს „ოცნების“ მოწინააღმდეგე კონსერვატორულ-პატრიოტული ოპოზიციური პარტიის კანდიდატს, ეს პარტია კი საკუთარ პოლიტიკურ რესურსს პრემიერის სიმამრის ნათესავების გასათეთრებლად გამოიყენებს, რათა მათ შეძლონ დამოუკიდებელი პოლიტიკური კარიერის შექმნა. მოგეხსენებათ, შსს და სხვა ადმინისტრაციული რესურსი კვლავ წარმოადგენს არჩევნებში გამარჯვების მნიშვნელოვან რესურსს.

ფაქტია, რომ „ქართულ სახლში“ შეხვედრისას ხშირად გაისმოდა ირაკლის პოლიტიკაში დაბრუნების მოთხოვნები, ალბათ, საუბარი იმაზეც იყო, რომ თუ „ქართული ოცნება“ არჩევნებში ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს და კვირიკაშვილის გუნდი ჩაფლავდება, ბიძინა ივანიშვილი დაინახავს, თუ რა დააკლდა მას და მის პოლიტიკურ პარტიას ღარიბაშვილის, თამაზაშვილის, ზედელაშვილის, ჯანყარაშვილის ჩამოცილებით.

რაც მთავარია, ეს ხალხი ძალასა და შესაძლებლობას არ დაიშურებს, რომ ივანიშვილს თვალები აუხილოს და დაანახოს, რა საფრთხეს წარმოადგენენ კვირიკაშვილი და მისი გუნდი. და თუ შედეგს მიაღწიეს, დიდი შანსია, საქართველო ფსევდოკონსერვატორული ლიდერების მარწუხებში აღმოჩნდეს, რომლებსაც უზომო მადა და ამბიციები გააჩნიათ.

# ბურჭულაძის კვლევებით, ნაცმოძრაობა პირველ ადგილზეა

შორენა მარსაგიშვილი

## მერაბ მეტრეველი: „ჩვენ კვლევა არ ჩაგვიტარებია“

ნაციონალურ მოძრაობას გუშინ, 18 ივლისს, დიდი საზეიმო განწყობა ჰქონდა. მედიაში გავრცელდა კიდევ ერთი კვლევის შედეგები, სადაც პარტიულ რეიტინგებში ნაციონალები პირველ ადგილს იკავებენ.

სააგენტო ჯი-ეიჩ-ენის ინფორმაციით, კვლევა პაატა ბურჭულაძის პარტიის დაკვეთით ივნისის ბოლოს ჩატარდა. მასში საქართველოს დიდ ქალაქებში მცხოვრები 1.200 რესპონდენტი მონაწილეობდა.

კვლევის შედეგების მიხედვით, „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ რეიტინგში მესამე ადგილზეა და მას რესპონდენტების 12% უჭერს მხარს.

კითხვაზე, „ვის დაუჭერთ მხარს საპარლამენტო არჩევნებში?“ პასუხი არ გასცა მხოლოდ 24%-მა.

კვლევის საბოლოო შედეგებით, პირველ და მეორე ადგილზე მყოფ ნაციონალურ მოძრაობას და „ქართულ ოცნებას“ შორის სხვაობა 1%-ს შეადგენს.

პოლიტიკურ პარტიათა რეიტინგი ასე გამოიყურება:

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 19%, „ქართული ოცნება“ – 18%; „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ – 12%; ალასანია – თავისუფალი დემოკრატები – 7%; ლეიბორისტული პარტია – 6%; პატრიოტთა ალიანსი – 3%;

ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა – 3%.

სხვა პარტიებმა ჯამში 8% დააგროვეს.

ამ კვლევებთან დაკავშირებით ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ პარტია „სახელმწიფო ხალხისათვის“ ერთ-ერთ ლიდერ მერაბ მეტრეველს.

მან კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია.

– ჩვენ არანაირი კვლევა არ ჩაგვიტარებია სხვა პარტიების რეიტინგებთან დაკავშირებით. ჩვენ მხოლოდ შიდა კვლევებს ვატარებთ. ეს კვლევები ეხება იმას, თუ რომელი რეგიონის მოსახლეობას რა პრობლემები აწუხებს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მეტრეველმა.

კვლევებზე საუბრისას მეტრეველმა თქვა, რომ ხელისუფლებამ მათი პარტიის რეიტინგი გაასაიდუმლოვა.

– ცოტა ხნის წინ „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალების კვალდაკვალ ჩაატარა კვლევა. მმართველმა ძალამ მხოლოდ პირველ-მეორე ადგილზე გასული პარტიები დაასახელა. დანარჩენების რეიტინგები კი დამალა. ეს იმით ახსნა, რომ თითქოს ამ პარტიების პრესტიჟს გაუფრთხილდნენ, თითქოს დაბალი მაჩვენებელი გვქონდა. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ საკმაოდ მაღალი პროცენტი ავიღეთ და ეს დამალეს, – აღნიშნა ბურჭულაძის თანაგუნდელმა.



მერაბ მეტრეველი ხელისუფლებას სხვა პრეტენზიებსაც უყენებს. მისი მტკიცებით, „ქართული ოცნება“ მათ წინააღმდეგ შავ პიარს აგორებს.

– ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ უცნობი პირები აზრის გამოკითხვის საბაბით მოქალაქეებთან აწარმოებენ გასაუბრებას პოლიტიკურ თემებზე. ამ დროს ახდენენ ჩვენი მოძრაობის რეპუტაციის შელახვას, არასწორი ინფორმაციის გავრცელებას და აცხადებენ, რომ ჩვენ ვართ ნაციონალების სატელიტები. ამ იარლიყის მოწებებას ჩვენთვის „ქართული ოცნება“ ცდილობს და ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ საქმის უკან ხელისუფლება დგას, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში მეტრეველი.

ამის გარდა, უცნობი პირები ბურჭულაძის პარტიას სხვა კუთხითაც უფუჭებენ საქმეს. როგორც მეტრეველმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, დაუდგენელი პირები მოქალაქეებისგან ფულს ითხოვენ.

– ბოლო რამდენიმე დღეა, თბილისში და ქვეყნის სხვა ქალაქებში გახშირდა შემთხვევები, როდესაც „პაატა ბურჭულაძე – მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ სახელით ჩვენთვის უცნობი პირები მოქალაქეებთან სახლში მიდიან და პარტიული შემოწირულობის სახით სხვადასხვა ოდენობის თანხას ითხოვენ, – ამბობს „სახელმწიფო ხალხისათვის“ ერთ-ერთი ლიდერი.

ის პარტიის სახელით მოქალაქეებს სთხოვს, არ დაუშვან შეცდომა და მათი მოძრაობის სახელით მისულ არც ერთ პირს არ მისცენ არანაირი ოდენობის თანხა.

# „აფხაზეთის უმაღლესი საბჭო დევნილებმა უნდა აირჩიონ“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზეთის უმაღლესი საზოგადოებრივი საბჭო“ უპირისპირდება. ორგანიზაციის სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ განსახილველად მიიღო.

მოსარჩელეები 1994 წლის პარლამენტის დადგენილების გაუქმებას მოითხოვენ, რომლის საფუძველზეც თბილისში დევნილ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს ფუნქციონირების უფლება მიეცა. „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელი, პროფესორი **დავით ზაქარაია** ესაუბრება.



***– ბატონო დავით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი რატომ შეიტანეთ?***

– არსებობს აქტები, რომელთა საფუძველზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭო დევნილობაში აგრძელებს ფუნქციონირებას. ის აქტები უნდა გაუქმდეს.

***– გინდათ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს შეუჩერდეს უფლებამოსილება?***

– ეს კითხვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სამართლებრივ საკითხებთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გააჩნია თავისი პოლიტიკური შედეგები.

***– რა პოლიტიკური შედეგები მოჰყვება, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო გაუქმდება?***

– აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, ისევე, როგორც აფხაზეთის მთავრობა, უნდა შენარჩუნდეს, ვინაიდან ისინი არიან დევნილების ინტერესების გამომხატველი სტრუქტურები.

***– ამ სტრუქტურების არსებობა არალეგიტიმურად რომ მიგაჩნიათ და მისი უფლებამოსილების შეჩერებას მოითხოვთ?***

– სამართალმემკვიდრეობა რომ შევინარჩუნოთ, აუცილებლად უნდა ჩატარდეს არჩევნები და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო უნდა განახლდეს.

***– განახლების გარეშე დევნილების ინტერესებს ვერ გამოხატავენ?***

– განახლებისა და დევნილების უფლების დელეგირების გარეშე, ეს უწყებები აბსოლუტურად უფუნქციო ორგანოებად იქცევა.

***– უმაღლესი საბჭოს განახლება როგორ წარმოგიდგენიათ, ზოგი დარჩება, ზოგი წავა?***

– აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ამჟამინდელი შემადგენლობის ის წევრები, რომლებიც წინააღმდეგობაში არ მოდიან საქართველოს კანონთან და კონსტიტუციასთან, უმაღლესი საბჭოს განახლებადობისა და მემკვიდრეობითობის პრინციპით, უნდა დარჩნენ.

***– სასურველ გადაწყვეტილებას ელოდებით?***

– საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი მიიღო. ეს არის ეპოქალური მოვლენა. შეუძლებელია, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობაში ფუნქციონირებდეს. ვფიქრობ, საკონსტიტუციო სასამართლო აფხაზეთიდან დევნილებს აუცილებლად დაუბრუნებს უფლებას, თავად აირჩიონ თავისი წარმომადგენლობითი ორგანო, ისევე, როგორც ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აღუდგინა.

დევნილებისთვის საარჩევნო უფლების დაბრუნების საკითხი თავისუფალი დემოკრატების ყრილობაზე ირაკლი ალასანიამაც გააჟღერა, რაც გვაძლევს იმედს, აღნიშნული პრობლემა პარტიების პოლიტიკურ დღის წესრიგში შევა.

***– დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დევნილებს უფლებები ავტომატურად აღუდგებათ?***

– დარჩება ტექნიკური მხარე – საქართველოს პარლამენტს ექნება გამოსაცემი აქტი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოიყვანს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ფუნქციონირებას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო იქნება და დევნილებს დაუბრუნებს საარჩევნო უფლებას.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, გადაწყვეტილება იქნება დადებითი. თუ რაღაც განსაკუთრებული მოხდა, ჩვენ საჩივარს წავიღებთ სტრასბურში, რომელიც ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაგვიბრუნებს საარჩევნო უფლებას. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო, დიდი ალბათობით, ძალიან სწრაფად მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას.

***– ამგვარ გადაწყვეტილებას აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი როგორ შეხვდებიან?***

– რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, უმაღლესი საბჭო, ისევე, როგორც ამჟამინდელი სეპარატისტულთა შემადგენლობა, დამწუხრებული დარჩებიან. გამარჯვებული იქნებიან დევნილები.

# გიგა ბუკია: „მაჟორიტაროობა არ მინდა“

## „ვინც გვაბრალებს, რომ ნაციონალებისთვის ხელისუფლების გადაბარება გვინდა, ლოგიკასთან მწყრალადაა“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე ექსპერტმა განაცხადა, რომ ახალი სახეების საარჩევნო სიაში შეყვანით იწყება ახალი ერა საქართველოს პოლიტიკაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ტრადიციულ პოლიტიკურ ლიდერებს მუდმივად ჩაანაცვლებენ ახალი ფიგურები. პარლამენტის უმრავლესობის წევრი, ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიგა ბუკია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ახალი ერა პოლიტიკაში სხვა თვალსაზრისით დგება.

**გიგა ბუკია:**

– ამ ექსპერტებს ნაწილობრივ ვეთანხმები. 90-იანი წლების შემდეგ საქართველოში პირველად დგება მომენტი, როცა საპარლამენტო არჩევნებში მოქალაქეები გააკეთებენ თავისუფალ არჩევანს. ადამიანები იმოქმედებენ საკუთარი სინდისისა და სურვილის შესაბამისად. მათზე არავინ მოახდენს ზეწოლას. ამ მხრივ ახალი ეპოქაა.

ახალი სახეების შემოყვანა დადებითი მოვლენაა. პოლიტიკის განხორციელება არ ხდება ახალი სახეების ხარჯზე. ახალ სახეებს გვერდით ეყოლებიან გამოცდილი პოლიტიკოსები, ანუ ისინი, ვისი პოლიტიკური ცხოვრებაც ცნობილია. პოლიტიკოსები პოლიტიკიდან არ მიდიან. „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილ სახეებში არის ჩვენი, კონსერვატიული პარტიის წევრი, დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატი ნინო გოგუაძე.

***– ახალ სახეებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც პოლიტიკაში მოსვლის სურვილი არ ჰქონიათ.***



– თუ ასეთი რამ ითქვა, ეს დასაზუსტებელია. შეიძლება ზოგიერთს ზოგადად არ ჰქონია პოლიტიკაში მოსვლის მიზანი, მაგრამ შემოთავაზების შემდეგ კარგად გაითავისა პარლამენტში, პოლიტიკურ ველზე ყოფნის პასუხისმგებლობა. ახალი სახეები პოლიტიკაში ჩაებნენ. ძალით პარლამენტში არავის არავინ შეჰყავს.

***– არის საკითხები, რომლებიც ამ პარლამენტმა ვერ მოაგვარა და ამის გაკეთება მომავალ პარლამენტს მოუწევს?***

– დიახ. პირადად მე ძალიან მწყდება გული იმაზე, რომ კონსტიტუციაში ვერ შევიტანეთ ქორწინების განმარტება. მის თანახმად, ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა. კონსერვატორები და „ქართული ოცნება“ ვცდილობდით, რომ კონსტიტუციაში ეს დაფიქსირებულიყო. ეს ვერ მოხდა ნაციონალური მოძრაობის გამო. ნაციონალების დაუსწრებლობა გახდა იმის მიზეზი, რომ კვორუმი ვერ შედგა, ვერ გაიმართა კენჭისყრა. ნაცმოძრაობამ ეს ბოიკოტით ახსნა.

***– ალბათ, სხვა გეგმების განხორციელებაც ვერ მოხერხდა.***

– თვითმმართველობის რეფორმა წარმატებით დავიწყეთ, მაგრამ ის ბოლომდეა მისაყვანი. რეფორმებია გასატარებელი შსს-ში, პროკურატურასა და სასამართლოში.

მტკივნეულია განათლების სფერო, სადაც ბევრი რამაა გასაკეთებელი. არის გრძელვადიანი თემები. ზოგიერთი კანონის სრულყოფილად და შედეგიანად ამოქმედებას წლები სჭირდება.

***– ოპონენტები აცხადებენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქმა სასამართლოს რეფორმის მესამე ტალღაზე და ის ცდილობს კონტროლის დამყარებას სასამართლოზე.***

– რეფორმებზე უარი არავის უთქვამს. არც სასამართლოზე კონტროლი გვინდა. კანონპროექტი, რომელიც ეხება სასამართლოს რეფორმირებას, ვერ დამტკიცდა, მაგრამ ეს არ არის „ქართული ოცნებისა“ და კონსერვატორების ბრალი. მას მხარი არ დაუჭირეს სხვებმა, მაგალითად, ეროვნულმა ფორუმმა და მრეწველებმა. მესამე მოსმენისას საკმარისი ხმები ვერ მოგროვდა. იმედი მაქვს, რომ ეს მომავალში მოხდება.

***– არჩევნებში პირველ ადგილზე გასვლას, ალბათ, „ქართულ ოცნებას“ უწინასწარმეტყველებთ. ვინ იბრძოლებს მეორე ადგილისათვის?***

– მეორე ადგილზე გამსვლელ ალტერნატივო ძალას ვერ ვხედავ. მეორე ადგილისათვის ბრძოლა იქნება.

***– აჭარის ავტონომიის მთავრობის თავმჯდომარედ ზურაბ პატარაძის დამტკიცების შემდეგ გახშირდა საუბარი იმაზე, რომ აჭარაში მიდის ნაცმოძრაობისთვის ხელისუფლების გადაბარების პროცესი. ამის არგუმენტად ასახელებენ იმას, რომ პატარაძე ნაციონალებთან დაახლოებული პირია.***

– რა გამოდის? „ქართული ოცნების“ კოალიციამ შავი ჭირი ნაციონალების სახით იმიტომ მოაშორა ქვეყანას, რომ მერე მისთვის ხელისუფლება გადაებარებინა? ვინც გადაბარებას გვაბრალებს, ლოგიკასთან მწყრალადაა. ასეთი განცხადებებით ვიღაცას უნდა მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა და ქულების დაწერა.

***– კონსერვატორები რომ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად გამოდიხართ არჩევნებზე, ცნობილია. მაჟორიტარობას ხომ არ აპირებთ?***

– ეს საკითხი არ გადაწყვეტილა. მაჟორიტარობისკენ არ მივისწრაფვი. დეპუტატობა ისედაც მძიმე ტვირთი და დიდი პასუხისმგებლობაა. თუმცა, თუ ჩემი პარტია და „ქართული ოცნება“ ერთად გადაწყვეტენ, რომ მაჟორიტარად ვიყარო კენჭი, ამას გავაკეთებ.

---

# იუნუს-ბეკ ევკუროვი: „ჩვენ გვსურს საქართველოსთან ურთიერთობა“

ინგუშეთის მეთაური **იუნუს-ბეკ ევკუროვი** გამოცემა „ვესტნიკ კავკაზას“ ჟურნალისტთან ინტერვიუში რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივაზე საუბრობს და ამასთან დაკავშირებით ეხება საქართველოსთან და აფხაზეთთან ურთიერთობებსაც.

საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან:

***– ჯეირახში კურორტ არმხის დათვალიერებისას დავრწმუნდით, რომ რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება ტურიზმის განვითარებისათვის. არის თუ არა რაიმე კონკრეტული გეგმა ან გრძელვადიანი პროგრამა ტურისტების მისაზიდად სამხრეთ კავკასიიდან?***



– გეგმები კი გვაქვს, მაგრამ მათ რეალიზებას ჩვენი სახსრებით ვერ ვახერხებთ, ჩრდილოეთ კავკასიის კურორტების მთვარი ინვესტორი კი ვალდებულებას არ ასრულებს... ჩვენ გვინდა, რომ ჯეირახის რაიონს და საერთოდ, ინგუშეთის კურორტებს ყურადღება განსაკუთრებით დაუთმონ, ჩვენც ისე დაგვეხმარონ, როგორც სხვა სუბიექტებს ეხმარებიან.

ბუნებრივია, ჩვენი მხრიდან შევეცდებით საკუთარი ძალებით მოვძებნოთ ინვესტორები. ვფიქრობ, ჩვენი კურორტების განვითარების მიზნით ჩადებული ფული ინვესტორს მოგებას მოუტანს.

***– აქვს თუ არა ინგუშეთს ეკონომიკური პროექტები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან?***

– სამწუხაროდ, არა. ჩვენ გვსურს საქართველოსთან ურთიერთობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით კონტაქტების დაწყება ვერ ხერხდება. ღმერთმა ქნას, რომ სწრაფად მოხდეს. აზერბაიჯანთან შეთანხმება გაფორმებულია, თუმცა, ამჯერად უკვე ჩვენი ეკონომისტების უმოქმედობის გამო, ეს საკითხიც ბოლომდე არაა მიყვანილი.

ვფიქრობ, უახლოეს ხანში მოვაგვარებთ. ხელმოწერილია შეთანხმებები აფხაზეთთან, მაგრამ ჯერ-ჯერობით მოქმედებს მხოლოდ ერთი – შეთანხმება ბავშვთა დასვენების თაობაზე; აფხაზი ბავშვები ჩვენს სარეაბილიტაციო ცენტრში სამკურნალოდ მოდიან ხოლმე. რაც შეეხება გრძელვადიან ეკონომიკურ პროგრამებს, ამით მაინცდამაინც ვერ დავიტრაბახებთ.

**ნიუსპრესი**

---

# თურქეთის ელჩი: „ჩვენ არ გვითქვამს, რომ ვინც დადის საქართველოში კონკრეტულ სკოლებში განათლების მისაღებად, არიან ტერორისტები“

– ჩვენ არ გვითქვამს, რომ ისინი, ვინც დადიან საქართველოში ამ კონკრეტულ სკოლებში განათლების მისაღებად ან ამ სკოლების კურსდამთავრებულები, არიან ტერორისტები, ეს სრული გაუგებრობაა, – ამის შესახებ საქართველოში თურქეთის ელჩმა ლევენთ გუმრუქჩუმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.




– მე მას ვუთხარი, რომ ბათუმში ჩვენი გენერალური კონსულის ინტერვიუ დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი მედიაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იყო მისი განცხადებით არასწორი ინტერპრეტაცია.

ნებისმიერ შემთხვევაში, არც მას და არც ჩვენ არ გვითქვამს, რომ ისინი, ვინც დადიან საქართველოში ამ კონკრეტულ სკოლებში განათლების მისაღებად, ან ამ სკოლების კურსდამთავრებულები, არიან ტერორისტები, ეს სრული გაუგებრობაა. მეორე მხრივ, ჩვენ გავუზიარეთ ჩვენს ქართველ პარტნიორებს ჩვენი შეშფოთება ფეტულას ტერორისტული ორგანიზაციის საერთაშორისო ქმედებების, ასევე მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოქმედ გარკვეულ სკოლებთან მათი კავშირებისა და ამ სკოლების მართვის გამო. როგორც სხვა მეგობარ და პარტნიორ ქვეყნებში, ჩვენ ვაგრძელებთ ასეთი საკითხების განხილვას საქართველოს შესაბამის ორგანოებთან იმ შესანიშნავი თანამშრომლობის ფარგლებში, რომელიც უკვე არსებობს ორ ქვეყანას შორის უსაფრთხოების საკითხებში, – განაცხადა ელჩმა.

ელჩის კომენტარის თარგმანს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

16 ივლისს, თურქეთის გენერალურმა კონსულმა იასინ თემიზქანმა თურქეთში მომხდარ სამხედრო გადატრიალების მცდელობაზე კომენტარი გააკეთა. მანვე ისაუბრა ბათუმის შაჰინის სკოლა-ლიცეუმზე.

– ეს ხალხი იმაგრებს საკუთარ პოზიციებს სკოლების მეშვეობით, ანუ ზრდიან თაობებს, რომლებიც არა სახელმწიფოს, არამედ ტერორისტულ დაჯგუფებებს ემსახურებიან. სამწუხაროდ, აჭარაში არის მსგავსი სკოლები. ერთ-ერთია რეფაიდინ შაჰინის სკოლა-ლიცეუმი.

მე მოვუწოდებ აჭარის მოსახლეობას, ქართველ ხალხს, ნუ გაუშვებთ შვილებს ამ სკოლაში, ნუ ასწავლით, იმიტომ, რომ ეს არის ტერორისტული დაჯგუფება და აქ ტერორისტულ მიზნებს ემსახურებიან. უახლოეს პერიოდში მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, რათა ამ ორგანიზაციების სკოლები დაიხუროს, – კონსულის ასეთი კომენტარის ქართული თარგმანი აჭარის ტელევიზიამ გაავრცელა.

**ინტერპრესნიუსი**

---

# ფედერიკა მოგერინი: „ვერც ერთი ქვეყანა ვერ გახდება ევროკავშირის წევრი, თუ იქ სიკვდილით დასჯა მოქმედებს“



აშშ და ევროკავშირი მოუწოდებენ თურქეთს, დაიცვას კანონის უზენაესობის პრინციპი. შესაბამისი განცხადება აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ და ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთეს.

ფედერიკა მოგერინის თქმით, ევროკავშირი ხაზს უსვამს თურქეთში კანონის უზენაესობის მნიშვნელობას.

**ფედერიკა მოგერინი:**

– თურქეთი პატივს უნდა სცემდეს დემოკრატიას, ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს. ვერც ერთი ქვეყანა ვერ გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, თუ იქ სიკვდილით დასჯა მოქმედებს, – დასძინა მოგერინიმ.

მანამდე, ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა მოსაზრება გამოთქვა, რომ თურქეთის ხელისუფლება სამხედრო გადატრიალების მცდელობას ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლისთვის იყენებს.

თურქეთში დაკავებები ამ დრომდე გრძელდება. ქვეყანაში თითქმის 9.000 პოლიციელს მუშაობის უფლება შეუჩერდა, დაკავებულია 100-ზე მეტი გენერალი.

**ინტერპრესნიუსი**

---

# გია ვოლსკი: „ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სჯობს, თუკი კოალიციური მთავრობის შექმნის აუცილებლობა არ იქნება“

– ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სჯობს, თუკი კოალიციური მთავრობის შექმნის აუცილებლობა არ იქნება, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ განუცხადა.

ამასთან, ვოლსკის თქმით, თუკი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კოალიციური მთავრობის შექმნა გარდაუვალი აუცილებლობა იქნება, მასში ძალიან დაახლოებული პოზიციების მქონე პარტიების წარმომადგენლები უნდა გაერთიანდნენ.



**გია ვოლსკი:**

– მგონია, რომ ქვეყნის სტაბილურობისა და მთავრობის სტაბილურობისთვის უმჯობესია, თუკი პარტიას ისეთი უმრავლესობის შექმნის შესაძლებლობა ექნება, რომელსაც კოალიციური მთავრობის შექმნა არ დასჭირდება.

ქვეყნის მართვას სჭირდება სტაბილური მთავრობა. მთავრობა ჩამოკიდებული არ უნდა იყოს პარტიულ ინტერესებზე, რომელიც შესაძლოა ამა თუ იმ პარტიას პარლამენტში მოხვედრის შემდეგ გაუჩნდეს – როდესაც უმრავლესობა იძულებული ხდება, რომ ესა თუ ის თანამდებობა ამ ადგილისთვის შეუსაბამო ადამიანს დაუთმოს, ეს არ არის ჯანსაღი და ეს ქვეყნისთვის არ არის კარგი.

დეპუტატი იმედს გამოთქვამს, რომ „საზოგადოება კარგად შეაფასებს ვითარებას და სტაბილური მთავრობის აუცილებლობასაც განსაზღვრავს“.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ვახტანგ მაისაია: „არ არის გამორიცხული, თურქეთი ნატოდან გავიდეს“

გულიკო ბალაძე

თურქეთში მომხდარ ამბებზე „ახალ თაობას“ ესაუბრება ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია**, რომელსაც გერმანიაში დავუკავშირდით.

***– ბატონო ვახტანგ, როგორ აფასებთ მომხდარს?***

– რაც ჩვენს მეზობელ თურქეთში მოხდა, შიდაპოლიტიკური ბრძოლა იყო, რომელსაც აქვს გეოპოლიტიკური გამოძახილი.

***– გახმოვანდა ვერსია, თითქოს ერდოღანმა დაგეგმა გადატრიალების მცდელობა.***

– ეჭვი მეპარება, რომ ერდოღანს დაეგეგმა. პირიქით, ერდოღანს არაფერი დაუგეგმავს. თუმცა, პოლიტიკურად კარგად გამოიყენა შექმნილი ფონი.

***– თითქოს ძალაუფლების განსამტკიცებლად დაგეგმა.***

– გადატრიალების მოწყობის მცდელობა ერდოღანისთვისაც მოულოდნელი იყო. თავდაპირველად მეამბოხეებმა წარმატებას მიაღწიეს. მათ, ფაქტობრივად, ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს. ერდოღანი, ფაქტობრივად, გამორბოდა გერმანიაში. ერდოღანმა, უბრალოდ, მეტი პოლიტიკური სიბრძნე გამოიჩინა, მეტი გამოცდილება ჰქონდა და თავისი მომხრეების ქუჩაში გამოყვანა შეძლო, ანუ განმეორდა 1991 წლის მოსკოვის პუტჩის სცენარი. თუმცა, თურქეთში დაგეგმილი ამბოხების სცენარი უფრო სისხლიანი გამოდგა. მოსკოვის პუტჩის დროს დაიღუპა 3 ადამიანი, ხოლო თურქეთში – 200 ადამიანი.

***– ერდოღანის გერმანიაში შესაძლო გაქცევის ვარიანტი მართალია? ამბობდნენ, ერდოღანის მოწინააღმდეგეებმა სპეციალურად გაავრცელესო.***

– გერმანელებიც ამბობენ, რომ ერდოღანი გერმანიაში გაქცევას გეგმავდა. ამაზე გერმანული პრესაც წერს და ზოგიერთი ჟურნალისტიც ადასტურებს.

***– რა გეოპოლიტიკური გამოძახილი შეიძლება მოჰყვეს თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობას?***

– ერდოღანმა ინჯირლიკის სამხედრო-საჰაერო ბაზა რაღაც დროით დაკეტა და შეზღუდა ამერიკელების შესაძლებლობა, აღნიშნული ბაზა ისლამურ სახელმწიფოზე ავიადარტყმებისთვის გამოეყენებინათ. ამან რაღაც დონეზე ამერიკა-თურქეთის ურთიერთობები გაამძაფრა. ურთიერთობა უფრო გამწვავდებოდა, ინჯირლიკის ბაზა რომ არ გაეხსნათ. ერდოღანმა, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენა ამერიკის შეერთებულ შტატებს, გადაეცა გიულენი, რომელსაც გააჩნია პოლიტიკური თავშესაფარი ამერიკაში.



ნიშანდობლივია, რომ ამ ფონზე კიდევ უფრო გაძლიერდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები. ერდოღანს პუტინმა კიდევ დაურეკა და დახმარება აღუთქვა. როგორც ამბობენ, პუტინმაც შესთავაზა ერდოღანს პოლიტიკური თავშესაფარი თუ სამხედრო გადატრიალება წარმატებით დასრულდებოდა. ასევე პუტინმა დახმარებაც შესთავაზა.

***– სამხედრო ძალით დახმარება.***

– არ ვიცი, მაგრამ რაღაც დახმარება აღუთქვა. არ გამოვრიცხავ სამხედრო ძალით დახმარებასაც. ეს მხოლოდ ვარაუდია. ერდოღანმა პუტინს შესთავაზა საინტერესო ინიციატივა – ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა და ინჯირლიკის სამხედრო ბაზის გამოყენება. ეს რაღაც უჩვეულო შეთავაზებაა.

***– ინჯირლიკის სამხედრო ბაზა ხომ ნატოს სამხედრო ბაზაა, რუსეთს როგორ შესთავაზა?***

– თურქეთის სამხედრო ბაზაა, ოღონდ ამერიკელები იყენებენ 1982 წლის შეთანხმების მიხედვით. 1982 წელს თურქეთსა და ამერიკას შორის გაფორმდა სპეციალური მემორანდუმი, რომლის მიხედვით ამერიკელები რამდენიმე სამხედრო ბაზას საკუთარი გეოსტრატეგიული ამოცანების შესრულებისთვის იყენებდნენ. მათ შორის, ინჯირლიკის ბაზას. ინჯირლიკის სამხედრო ბაზის მეთაურიც დადანაშაულებულია სამხედრო ამბოხში. ეს საინტერესო ფაქტია.

***– თქვენ ამბოხის მიზეზად რას მიიჩნევთ?***

– არმიის სოციალური პროტესტი იყო იმის გამო, რაც ერდოღანმა გაუკეთა არმიას. თავის დროზე ბევრი სამხედრო ჩინოსანი იყო რეპრესირებული და საკმაოდ რთული ვითარება გახლდათ. როდესაც სამხედროებმა კომენდანტის საათი გამოაცხადეს და, ფაქტობრივად, ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, არ გამოაქვეყნეს პროგრამა, როგორც საშინაო პოლიტიკური წყობის, ასევე საგარეო პოლიტიკური ამოცანების თაობაზე. ამიტომ ამაზე საუბარი ცოტა რთულია.

***– გადატრიალების მომწყობი სამხედროების უკან გიულენი არ მოიაზრება?***

– არა. ამით ერდოღანმა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე ჩამოიცილა. ყველა ოპოზიციური ძალა, რომელიც თურქეთშია, გახადა მართული. ერთადერთი დარჩა გიულენი. ის არის ერთ-ერთი ოპოზიციონერი, რომელსაც შეუძლია რეალური წინააღმდეგობის გაწევა. მისთვის ბრალის დადებით, ერდოღანმა დარტყმა მიაყენა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს. გიულენსაც ვერ იტანენ არმიაში. ის არის თეოლოგი და ერთ-ერთი ისლამისტური მიმდინარეობის ლიდერი. გახსნილი აქვს სკოლები.

***– თურქეთში კიდევ შეიძლება იყოს გადატრიალების მცდელობა?***

– მომავალში სამხედრო გადატრიალების მცდელობა რომ იყოს, გასაკვირი არ არის, მაგრამ ამ ეტაპზე ყველა განეიტრალდა. ფაქტობრივად, ქემალისტური იდეები დასამარდა. დასამარდა ასევე ძლიერი არმიის იდეაც. შეიარაღებული ძალები ერდოღანმა გახადა მართული. ერდოღანმა, ფაქტობრივად, შემოიტანა ახალი იდეოლოგია, რომელმაც ჩაანაცვლა ქემალისტური იდეოლოგიური მრწამსი. ერდოღანი ავითარებს პანთურქიზმის იდეოლოგიას. ეს არის მთავარი.

***– რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილება?***

– ერდოღანმა ძალაუფლება გაიმყარა. მომავალში ისე მოიქცევა, როგორც ის ჩათვლის საჭიროდ. ერდოღანი არის ავტოკრატი ლიდერი.

***– მეზობელ სახელმწიფოებზე რა გავლენა შეიძლება მოახდინოს თურქეთში მომხდარმა?***

– იოლი მეზობელი არ იქნება. აქამდე ერდოღანს დასავლეთი, ასე თუ ისე, აბალანსებდა. ახლა დასავლეთის წინაშე ვალდებულებები მოიხსნა. ერდოღანს დასავლეთთან ურთიერთობა გაუფუჭდა. ევროკავშირში გაწევრიანება აბსოლუტურად გამორიცხულია. ახლა, მით უმეტეს, რადგან სიკვდილის დასჯის მორატორიუმს აუქმებს. ამით, ფაქტობრივად, დაიკეტება ევროკავშირის კარი თურქეთის მიმართულებით.

***– შეიძლება ამერიკის წინააღმდეგ თურქეთი და რუსეთი შეთანხმდნენ?***

– შეიძლება. არ არის გამორიცხული, თურქეთი ნატოდანაც გავიდეს. იმედია, მოვლენები ამ სცენარით არ განვითარდება, მაგრამ გამორიცხული არაფერია. არ არის გამორიცხული, თურქეთი აღმოსავლეთით შეიჭრას და აწარმოოს საომარი კამპანია სირიის მიმართულებით.

***– თურქეთის ჯარი ალბათ ნატოს სტანდარტებითაა გაწვრთნილი. სირიის მიმართულებით საომარ კამპანიაში ისლამური სახელმწიფოც მოიაზრება?***

– თურქეთის ჯარი ნატოს სტანდარტებითაა გაწვრთნილი. სირიის მიმართულებით საომარ კამპანიაში, ალბათ, ისლამური სახელმწიფოც მოიაზრება.

***– თურქეთის მხრიდან ისლამურ სახელმწიფოსთან საერთო ენის გამონახვა გამორიცხულია?***

– ამაზე პასუხისგან თავს შევიკავებ. ჩემი სხვაგვარი პასუხი, შეიძლება სხვანაირად იყოს აღქმული. ჩავთვალოთ, რომ ფორმალურად ისინი მოწინააღმდეგეები არიან. საკმაოდ რთული ვითარება შეიქმნა რეგიონში.

## ორსართულიანი მატარებლებით მგზავრობა ივლისის ბოლოდან იქნება შესაძლებელი

ორსართულიანი მატარებლებით ბათუმისკენ გადაადგილებას მგზავრები ივლისის ბოლოდან შეძლებენ.

როგორც „საქართველოს რკინიგზაში“ განმარტავენ, ოთხივე მატარებელი სატესტო რეისებს ასრულებს, რის შემდეგაც, სხვა მატარებლების მსგავსად, ბათუმისკენ დაიწყებენ მოძრაობას და მგზავრების გადაყვანას.



„საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი დაჩი ცაგურია „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ მატარებლებმა სატესტო რეჟიმში 5 ათასი კილომეტრი უნდა გაიარონ, მატარებლების უმრავლესობას კი ამ გზის ნახევარი უკვე დაფარული აქვს.

„საქართველოს რკინიგზის“ ინფორმაციით, ორსართულიანი მატარებლების სატესტო რეისები 7-10 დღეში დასრულდება და თვის ბოლოდან მგზავრთა გადაადგილებაც დაიწყება.

უწყებაში განმარტავენ, რომ ახალი ორსართულიანი მატარებლებით მგზავრობის ტარიფები არ მოიმატებს და ისეთივე იქნება, როგორიც სხვა მატარებლებში.

ამჟამად მეორე კლასის ბილეთი თბილისი-ბათუმის მიმართულებით 23 ლარი ღირს, პირველი კლასის კი – 40 ლარი.

შვეიცარიული კომპანია შტადლერის მიერ საქართველოსთვის დამზადებული ორსართულიანი მატარებლები თბილისში რამდენიმე დღის წინ შემოიყვანეს.

საქართველოს რკინიგზამ შტადლერს 4 ახალი, ორსართულიანი მატარებელი 2016 წლის გაზაფხულზე შეუკვეთა, რაშიც 40 მილიონი ევრო გადაიხადა.

საქართველოს რკინიგზისა და კომპანია შტადლერის ინფორმაციით, შვეიცარიელი სპეციალისტები მატარებლების დამზადებამდე საქართველოში იმყოფებოდნენ, შეისწავლეს ინფრასტრუქტურა, მათ შორის გვირაბები, ხიდები, ლიანდაგების სისტემა. შესაბამისად, ახალი მატარებლები მთლიანად ადგილობრივ სისტემაზეა მორგებული.

**სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე**

ეკონომიკა

## როდის ამუშავდება ლაგუნა ვერე?

მესამე სეზონია, თბილისის ერთ-ერთი უმსხვილესი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლაგუნა ვერე უფუნქციოდაა დარჩენილი.



ობიექტი 2014 წლის მარტში დაიხურა. ეს გადაწყვეტილება ხელმძღვანელობამ იმ პერიოდში ობიექტის არამომგებიანობით ახსნა. კომპანიაში აცხადებდნენ, რომ კომპლექსს მუშაობა, საუკეთესო შემთხვევაში, 2015 წლის სეზონიდან უნდა განეახლებინა.

როგორც მაშინ კომპლექსის ხელმძღვანელი დავით ჩხეტიანი ამბობდა, ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან ლაგუნა ვერეს სარემონტო სამუშაოები ერთხელაც არ ჩასტარებია, რის გამოც კომპლექსი სავალალო მდგომარეობაში იყო: მწყობრიდან იყო გამოსული კომუნიკაციები და ფილტრები.

„კომერსანტი“ შეეცადა გაერკვია, იგეგმება თუ არა ლაგუნა ვერეს რეაბილიტაცია და რა ვადებში?

როგორც ობიექტის მმართველ ფონდ „ქართუში“ აცხადებენ, ობიექტზე ჯერჯერობით სამუშაოები არ მიმდინარეობს. მათივე ინფორმაციით, თუ რა პროექტი განხორციელდება ლაგუნა ვერეს ტერიტორიაზე და შეუნარჩუნდება თუ არა მას პროფილი, ამის შესახებ საზოგადოებას თავად აცნობებენ.

ლაგუნა ვერეს დახურვის შედეგად უმუშევრადაა დარჩენილი ობიექტის 300-მდე თანამშრომელი. მათი ნაწილი მიმდინარე წლის დასაწყისში აცხადებდა, რომ კომპლექსის დახურვის შემდეგ მათთან კონტაქტზე არავინ გასულა.

2014 წელს, თბილისის მერობის მაშინდელი კანდიდატი ნიკა მელია აცხადებდა, რომ ფონდი „ქართუ“ საცურაო კომპლექს ლაგუნა ვერესთვის პროფილის შეცვლას გეგმავდა და კომპლექსის ტერიტორიაზე კორპუსის მშენებლობა იგეგმებოდა, ვინაიდან ინვესტორმა საცურაო აუზის კომპლექსი არამომგებიან ბიზნესად მიიჩნია.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლაგუნა ვერე 1978 წელს გაიხსნა.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

## ქართველი ტურისტები თურქეთის საგზურებს უკან აბრუნებენ



თურქეთში განვითარებული მოვლენების გამო, საქართველოს ტუროპერატორები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ.

ადგილობრივი ტუროპერატორები იმ მგზავრებს, ვინც თურქეთის კურორტებზე გამგზავრებას აპირებდა, ან ვინც თურქეთის გავლით სხვა ქვეყანაში მიფრინავდა, ინდივიდუალურად სხვადასხვა გამოსავალს სთავაზობენ.

როგორც ბიპიენს ტურისტულ სააგენტო ფრი თრეველში განუცხადეს, იმ ტურისტების უმეტესობამ, ვინც თურქეთში დასასვენებლად გამგზავრებას უახლოეს დღეებში აპირებდა, საგზურები უკან დააბრუნეს და ტუროპერატორმა მათ გადახდილი თანხა სრულად აუნაზღაურა. მათ კი, ვინც თურქეთის გავლით სხვა ქვეყანაში მიფრინავდა, ტუროპერატორები ალტერნატიულ მარშრუტებს სთავაზობენ.

ტუროპერატორების განცხადებით, ავიაკომპანიები მაქსიმალურად ცდილობენ, მგზავრების მიერ შეძენილი ბილეთები უკან დაიბრუნონ, გადაცვალონ სხვა რეისის ბილეთებზე ან ბილეთში გადახდილი თანხა მგზავრებს უკან დაუბრუნონ.

ტურისტულ სააგენტო ლავ ტურსში აცხადებენ, რომ მათი ტურისტები ამ ეტაპზე თურქეთის ტერიტორიაზე არ იმყოფებიან. ტუროპერატორის მენეჯმენტის განცხადებით, მათი შემდგომი ნაბიჯები კონკრეტული მგზავრის მოთხოვნებზე იქნება დამოკიდებული.

ლავ ტურსში ამბობენ, რომ ამ ეტაპზე მგზავრთა ერთი ნაწილის კატეგორიული მოთხოვნაა, რომ დააბრუნონ საგზურები და გადახდილი თანხა უკან მიიღონ. მგზავრების მეორე ნაწილს კი არ სურს თურქეთის კურორტებზე გამგზავრებაზე უარი თქვან, რასაც თავის მხრივ არ ურჩევს ტუროპერატორი. ტურისტულ სააგენტოში განმარტავენ, რომ საგზურში გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მხოლოდ მათ შესაძლებლობებს აღემატება და აღნიშნულზე მზაობა უნდა მოხდეს მათ შორის სასტუმროსა და ავიაკომპანიის მხრიდან.

**ბიპიენი**

# მამუკა არეშიძე: „ერდოღანმა ამბოხით მაქსიმალურად ისარგებლა“

ნონა ცაბაძე

**ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თურქეთში განვითარებულ პროცესებს აფასებს.**

***– ბოლო დღეებია მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ეპიცენტრში თურქეთში მიმდინარე მოვლენებია. როგორია თქვენი შეფასებები იქ მიმდინარე პროცესებზე? ვინ მოიგო იმ პროცესით, რაც თურქეთში მიმდინარეობს?***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ამ სიტუაციაში ცალსახად მოიგო ერდოღანმა. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ერდოღანმა წინასწარ იცოდა, ამბოხი რომ ხდებოდა, ამიტომ მისცა ბიძგი ამ ამბოხს, რომ თავისი მიზნისთვის მიეღწია და მიაღწია კიდევაც.

***– რა იყო მისი მიზანი?***

– ერდოღანმა უამრავი პოლიტიკური კურდღელი მოკლა ერთდროულად ამ ამბოხით. პირველი ის, რომ მან წელში გადატეხა არმია და უახლოეს მომავალში ჩვენ არმიის მხრიდან აქტივობას არ უნდა ველოდოთ. მეორე ის, მან მიაღწია იმას, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც მის ძალაუფლებას განამტკიცებდა და ამდენი ხნის განმავლობაში ვერ გაიტანა პარლამენტში, ახლა ულაპარაკოდ გავა და პრაქტიკულად ის გახდება ერთპიროვნული მმართველი თურქეთის. მესამე ის, რომ მან ოპოზიცია მაქსიმალურად დაასუსტა. ყველაზე ძლიერი ოპოზიციური ძალა, რომელსაც გიულენი ხელმძღვანელობდა, პრაქტიკულად გაანეიტრალა. და მეოთხე, მოახერხა ის, რომ სამხედროებს გადააბრალა თვითმფრინავის ჩამოგდება და რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება. მისი იდეოლოგია, რომელსაც წლების მანძილზე კულუარულად ამკვიდრებდა, შეუძლია დღეს ღიად დაამკვიდროს და ის შედეგი მოიმკას, რომელიც მისთვის არის მნიშვნელოვანი.

***– ანუ თქვენც იზიარებთ გიულენის მოსაზრებას, რომ ეს ამბოხი თავად ერდოღანის ინსცენირებული იყო? თუ ერდოღანმა უბრალოდ ხელი შეუწყო ამ პროცესს?***

– თავიდან ბოლომდე ინსცენირებული იყოო, ცალსახად ასეც ვერ ვიტყვით. პროცესის მომზადება ხდებოდა არმიაში ამბოხისთვის, მაგრამ ამას ხელი შეუწყო და თავისთვის სასურველი გზა მისცა ამ ამბოხს.

***– ერდოღანმა ბრალი გიულენს დასდო და ამერიკისგან მის გადაცემას ითხოვს. ამაზე რას იტყვით?***

– იმაში, რომ გიულენი იყო ამ ამბოხის უკან, ეჭვი მეპარება. შეიძლება გიულენი თანაუგრძნობდა ამბოხებულებს, მაგრამ გიულენი რომ ყოფილიყო აქტიურად ჩართული ამ ამბოხში, მაშინ სტამბულის, ანკარის და სხვა ქალაქების ქუჩებში მარტო ერდოღანის მომხრეები არ გამოვიდოდნენ, გიულენის მომხრეებიც გამოვიდოდნენ და ასეთი არაერთი მილიონია თვითონ თურქეთში. ამიტომ მე მგონია ასე: პროცესი დაიწყო თვითონ არმიაში და ეს ყველაფერი გააგრძელა თვითონ ერდოღანმა.

***– ამერიკის როლზე რას იტყვით?***

– მიუხედავად იმისა, რომ ერდოღანი ეპატაჟურია და იცის ხოლმე მკვეთრი განცხადებების გაკეთება, ის მაინც ფრთხილობს ამ განცხადებებშიც კი. მთლიანად ამერიკას კი არ ადანაშაულებს, ამბობს, რომ ამბოხი მართული იყო პენსილვანიიდან. პენსილვანიაში ცხოვრობს გიულენი და აქედან გამომდინარე ამბობს ამას. ამერიკის შეერთებული შტატები უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ერდოღანმა შეგნებულად.

***– რას გულისხმობთ?***

– ერთი ის, რომ ის ასახელებს ამერიკის შეერთებულ შტატებს და მერე, დაკონკრეტების ჟამს, გულისხმობს გიულენს. თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები ახლა იძულებული იქნება დაფიქრდეს იმაზე, გადასცეს თუ არა თურქეთს გიულენი.

***– გადასცემს?***

– თუ შეერთებული შტატები ამას არ გააკეთებს, მაშინ თურქეთის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ამერიკის წინააღმდეგ განაწყობს, თუ გააკეთებს, მაშინ გაჩნდება საბაბი იმისა, რომ მეორე ნახევარი თურქეთის მოსახლეობისა იყოს ანტიამერიკულად განწყობილი. რთული დილემის წინაშე აღმოჩნდნენ ამერიკელები. ისევე, როგორც ბერძნები, რომლებსაც პოლიტიკური თავშესაფარი 8 სამხედრომ სთხოვა.

დღეს ერდოღანი არის მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში ცენტრალური ფიგურა, მან ნიცის ეპიზოდიც კი გადაფარა. ერდოღანი თამაშობს იმ წესებით, რომლებიც თვითონ დააწესა იმ ამბოხის შემდეგ. ამერიკის ადმინისტრაციას სერიოზული მანევრირება უხდება იმისთვის, რომ სტატუსკვო შეინარჩუნოს.

თუნდაც ავიღოთ ინჯირლიკის ბაზის ეპიზოდი, თურქებმა მოაწყვეს ამ ბაზის ბლოკირება და დენი გაუთიშეს. ეს უფრო დემონსტრაცია იყო, რადგან მალევე აღადგინეს ყველაფერი. ეს იყო ერთგვარი გაფრთხილება ამერიკელების, რომ თურქეთს შეუძლია ბევრად უფრო რადიკალური იყოს! პარალელურად მან რუსეთთან მოლაპარაკებები დაიწყო.

***– საუბარია, რომ დათბა რუსეთთან ურთიერთობები, რომ სამხედროები სწორედ ამან გააღიზიანა, გააღიზიანა ერდოღანის ბოდიშმა. როგორ განვითარდება ამ კუთხით მოვლენები?***

– ერდოღანთან სიტუაციის გამწვავება არც რუსეთს აწყობდა ბოლომდე, იმიტომ, რომ ერდოღანის გადაკიდება ნიშნავს, რომ პრობლემები შეიქმნებოდა ბოსფორის სრუტესთან დაკავშირებით, პრობლემები გაიზრდებოდა სირიაში რუსეთისთვის. ყურადღება მიაქციეთ, როგორი ბოდიში მოიხადა ერდოღანმა, პრინციპში ერდოღანს ბოდიში არ მოუხდია.

***– აბა ის რა იყო?***



– რუსებმა ამაზე წაუყრუეს, მაგრამ მას ბოდიში არ მოუხდია. ერდოღანმა მწუხარება გამოთქვა თავის გზავნილში მფრინავის დაღუპვის გამო.

***– ფიქრობთ, რომ საკმაოდ მყარია ერდოღანის პოზიციები და ამას ვერაფერი შეარყევს?***

– ახლა უაღრესად მყარია. ერთადერთი, რამაც შეიძლება შეცვალოს მისი მდგომარეობა, არის ეკონომიკური ფაქტორი. ტურისტული სეზონია და ცოტა ტურისტი ჩავიდა. 5-7 ათას ტურისტამდე ჩავიდა რუსეთიდან თურქეთში. გერმანიიდან ძალიან მცირე ნაკადი იყო და მათთან ძირითადად ეს ორი ნაკადი მიდის. პრაქტიკულად ამან ძალიან სერიოზული დარტყმა მიაყენა. გარდა ამისა, პუტჩის შედეგად ძალიან სერიოზულმა უცხოურმა ორგანიზაციებმა აქტივების გატანა დაიწყეს თურქეთიდან. აქედან გამომდინარე, თურქული ლირის ხვალინდელი დღე სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ეკონომიკურმა ფაქტორმა შეიძლება იმუშაოს ერდოღანის წინააღმდეგ.

# სულხან ღლონტი: „პატარაძეს მხარი რომ დავუჭირე, სწორად მოვიქეცი“

## „პრეზიდენტთან გასარიგებელი არაფერი იყო“

ნათია ხურცილავა

**გუშინ, 18 ივლისს, აჭარის უმაღლესმა საბჭომ აჭარის მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა. დახურულ კენჭისყრაში დარბაზში მყოფი 20 დეპუტატიდან მონაწილეობა 19 დეპუტატმა მიიღო.**

აჭარის მთავრობის შემადგენლობას მხარი დაუჭირა 12 დეპუტატმა, მათ შორის იყო 5 დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“, 1 კონსერვატორებიდან, 1 მრეწველებიდან, 1 რესპუბლიკური პარტიიდან, 1 თავისუფალი დემოკრატებიდან, 1 ეროვნული ფორუმიდან და 2 დამოუკიდებელი დეპუტატი.

მთავრობის შემადგენლობისთვის მხარი არ დაუჭერია ნაციონალური მოძრაობის 7 დეპუტატს.

რამდენიმე დღის წინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ზურაბ პატარაძის დამტკიცებაში მონაწილეობა მიიღო თავისუფალი დემოკრატების აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა სულხან ღლონტმა.

„ახალი თაობა“ სულხან ღლონტს ბათუმში დაუკავშირდა.

***– რის საფუძველზე გამოუცხადეთ ნდობა ზურაბ პატარაძის კანდიდატურას და მთავრობის ახალ შემადგენლობას?***

– მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელი არჩილ ხაბაძე როდესაც გადადგა, ჩვენ ცაიტნოტურ სიტუაციაში აღმოვჩნდით. პრეზიდენტი აჭარაში ჩამოვიდა და კონსტიტუციის თანახმად კონსულტაციები დაიწყო. პრეზიდენტის მხრიდან იყო თხოვნა, რომ პატარაძის კანდიდატურისთვის მხარი დაგვეჭირა და ამისთვის პრეზიდენტს არგუმენტები ჰქონდა.

ჩემი განწყობებიც ადეკვატური იყო. არჩევნებამდე ორი თვეა დარჩენილი, მაგრამ არ შეიძლება საზღვრისპირა რეგიონი მთელი ეს პერიოდი მთავრობის გარეშე იყოს. არჩევნები რეგიონში სრულფასოვანი ხელისუფლების პირობებში უნდა ჩატარდეს.

კიდევ იყო ერთი მნიშვნელოვანი ფაქ-



ტორი – ბევრი ადამიანი, რომელიც მუშაობს მმართველ რგოლში, გაურკვევლობაში იყო და, რასაკვირველია, ეს არ აწყობდა რეგიონს.

***– პატარაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები იყო, რომ ის თანამშრომლობდა ნაციონალურ მოძრაობასთან, წინა ხელისუფლების პირობებში რუსეთის ფედერაციაში კონსული იყო. როდესაც გადაწყვეტილებას იღებდით, ეს ფაქტი რაიმე დისკომფორტს გიქმნიდათ?***

– საერთაშორისო მისიებში მომუშავე ადამიანებს, დიპლომატებს, საქართველოს სახელით საერთაშორისო არენაზე მოასპარეზე პროფესიონალებს, რომლებიც ქვეყნის სამსახურში არიან, მე არც ერთ პარტიას და პოზიციას არ ვუკავშირებ. კონკრეტულად ზურაბ პატარაძის დიპლომატიური საქმიანობის დროს მე არ ვიცი შემთხვევა, ფაქტი, რომელიც უკავშირდება მის გადაცდომას ან არაპროფესიონალიზმს. ის არის გამოცდილი დიპლომატი, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყნებში საქმიანობდა, როგორებიც არის თურქეთი, ყაზახეთი.

მას დიპლომატიური საქმიანობა მოუწია ჩვენთვის მძიმე პერიოდში რუსეთის ფედერაციაში, როდესაც ქართველების დევნა მოხდა რუსეთის ტერიტორიიდან ეთნიკური ნიშნით. მაშინ ზურაბ პატარაძემ პოზიტიურად და პროფესიონალურად აჩვენა თავისი შესაძლებლობები.

***– ერთ-ერთი ბრალდება იყო, რომ ის არ იცნობს რეგიონს, რომ რეგიონიდან არ არის, ეს ბრალდება ჰქონდათ თავად აჭარის რეგიონის წარმომადგენლებს. თუ გაქვთ ინფორმაცია რამდენად იცნობს აჭარას პატარაძე?***

– მე არ გამოვდგები პატარაძის ადვოკატად, მე ვსაუბრობ იმ ფაქტებზე, რომლებიც საქვეყნოდ არის ცნობილი. რაც შეეხება კონკრეტულად ზურაბ პატარაძის წარმოშობას და იმ ბრალდებას, რომ ის რეგიონს არ იცნობს, რომ ის აჭარიდან არ არის, ეს არის ტყუილი და ცილისწამება. ბატონი ზურაბი, მთელი მისი ოჯახით, ვგულისხმობ მეუღლეს, მის ყველა ნათესავს, არის აჭარიდან, ის ჩვენი კუთხის შვილია. ამიტომ, ვინც ამ მცდარ განცხადებას აკეთებს, მას უნდა შერცხვეს.

***– თუმცა, განცხადება, რომ რეგიონს არ იცნობს ხელმძღვანელი პირი, მძაფრად გაკეთდა.***

– არ ვიცი, რას გულისხმობენ რეგიონის ცოდნაში, თუ ის იგულისხმება, რამდენი კომლი და რამდენი სოფელია ამა თუ იმ ხეობაში, ეს აბსოლუტურად არასერიოზული მიდგომაა. იგივე კითხვა რომ დაუსვათ ქვეყნის პრემიერმინისტრს და პრემიერმაც რომ გიპასუხოთ, საქართველოში რამდენი სოფელიც არის და ამ სოფლების სახელებიც რომ ჩამოთვალოს, ეს რამეს შეცვლის, ეს ხომ არის არასერიოზული მიდგომა?!

ჩვენ გვჭირდება რეგიონში მთავრობის ხელმძღვანელი. ჩვენი ქვეყნისთვის ამ სტრატეგიული მნიშვნელობის მხარეში, საზღვრისპირა ზოლში, მით უფრო განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თურქეთში ვითარდება ის მოვლენები, რომელთაც ამ ბოლო დროს თვალყურს ვადევნებთ, ამ დროს წარმოუდგენელია, აჭარა მთავრობის შემადგენლობისა და მისი ხელმძღვანელი პირის გარეშე არსებობდეს.

***– ეს იყო მიზეზი თქვენი გადაწყვეტილების და არა პრეზიდენტთან ერთგვარი გარიგება, როგორც ეს ითქვა?***

– გასარიგებელი არც არაფერი გვქონდა. ჩვეულებრივ, კონსტიტუციის თანახმად და შესაბამისად წარიმართა პროცედურა. აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის კანდიდატურის წარდგენის უფლება არსებობდა, მაგრამ ჩვენ მოვითხოვეთ კონსულტაცია. აჭარაში ჩამოვიდა ბატონი პრეზიდენტი უშიშროების საბჭოს მდივანთან ერთად და მოხდა შეხვედრა, რაც მისი მხრიდან აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი იყო. პრეზიდენტთან საუბარი საკმაოდ ხანგრძლივი იყო, შეხვედრას უშიშროების საბჭოს მდივანიც ესწრებოდა.

***– საუბარი რას შეეხებოდა?***

– საკმაოდ ბევრ თემას შევეხეთ. მთავარი ლეიტმოტივი შეხვედრის დროს იყო ის, რომ არ შეიძლება საზღვრისპირა რეგიონი ეფექტური ხელისუფლების გარეშე იყოს.

***– მთავრობის დამტკიცებაში მონაწილეობაც თქვენი მხრიდან ამ ფაქტორით იყო განპირობებული?***

– დიახ. „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონდა საკმარისი ხმები, რომ მთავრობა დაემტკიცებინა და ამ შემთხვევაში მე, როგორც 2012 წელს არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ კვოტით არჩეულ დეპუტატს, მაგრამ მოგვიანებით ოპოზიციაში წასულს, მხარი არ უნდა დამეჭირა?! ჩემთვის ოპოზიციაში ყოფნა არ ნიშნავს, რომ ქვეყნის კრიზისულ მდგომარეობაში ყოფნას ხელი შევუწყო. ეს ხომ ჩემი მხრიდან უგუნური ნაბიჯი იქნებოდა.

ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ოპოზიცია გაიგივებულია რევოლუციონერთან, იმასთან, თუ როგორ უფრო ხელს შეუშლი ქვეყნის წინსვლას, მე ასე არ ვთვლი. ჩემი მხრიდან ეს იყო სწორი გადაწყვეტილება და ამ აზრს ვერავინ შემაცვლევინებს.

***– რას ელოდებით პატარაძისგან?***

– პირველ რიგში იმას, რომ არჩევნებზე მაქსიმალურად შეზღუდოს სახელისუფლო რესურსის გამოყენება. მეორე – ორთვენახევარში არჩევნებია და მოსახლეობის ხელში იქნება საარჩევნო ბიულეტენი და თავად გადაწყვეტენ, თუ როგორი იქნება შემდეგი მთავრობა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# სროლა ლუიზიანაში

ქალაქ ბატონ-რუჟში (ლუიზიანას შტატი) განხორციელდა თავდასხმა პოლიციელებზე. სამი პოლიციელი დაიღუპა.

პოლიციელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. შედეგად ერთ-ერთი თავდამსხმელი დაიღუპა.

დანარჩენმა თავდამსხმელებმა თავს გაქცევით უშველეს.

– გამოძიებით დადგენილია რომ თავდასხმა სამმა მამაკაცმა განახორციელა. ერთი დაიღუპა, დანარჩენებს ვეძებთ, – განაცხადა პოლიციის თანამშრომელმა.

მოკლული თავდამსხმელის ვინაობა დადგენილია. ის ვინმე ლონგია, ზანგი, რომელიც ამერიკის საზღვაო ქვეით ჯარებში მსახურობდა. ლონგი იბრძოდა ერაყში. თავისი მეგობრების წრეში არაერთგზის აცხადებდა, ამერიკაში ზანგებს ჩაგრავენ და ამის გამო შური უნდა ვიძიოო. ლონგმა განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

როგორც ჩანს, ეს იყო ფსიქიკურად გაუწონასწორებელი კაცი, რომლის ფსიქიკაც ერაყში სამსახურის შემდეგ საბოლოოდ მოიშალა.

ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი ყურადღებას ერთ ფაქტზე ამახვილებს: უკანასკნელ ხანს აშშ-ს ტერიტორიაზე პოლიციელებზე რამდენიმე თავდასხმა განხორციელდა, ყველა შემთხვევაში რასობრივი მომენტი ფიგურირებდა – თავდამსხმელი აცხადებდა, რასობრივი დისკრიმინაციის გამო შურს ვიძიებო.

– არა მგონია, რომ საქმე ესოდენ მარტივად იყოს და ყოველივე გაუწონასწორებელი ფსიქიკის ადამიანთა მიერ იყოს ჩადენილი. არ გამოვრიცხავ, რომ მოქმედებს კარგად ორგანიზებული ჯგუფი, რომლის მიზანიც აშშ-ს დესტაბილიზაციაა, – აცხადებს პორტნიკოვი.



# შოტლანდია დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის ემზადება



შოტლანდიის პირველმა მინისტრმა ნიკოლ სტერჟანმა განაცხადა, რომ დამოუკიდებლობის საკითხი დღის წესრიგიდან არ არის მოხსნილი და ამ საკითხზე რეფერენდუმი შესაძლოა 2017 წლის პირველ ნახევარში ჩატარდეს.

– ბრიტანეთი ევროკავშირიდან გადის, ჩვენ კი ევროკავშირში დარჩენა გვსურს. ეს რეფერენდუმმაც დაადასტურა, როცა შოტლანდიელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი ევროკავშირში დარჩენას დაუჭირა, – თქვა სტერჟანმა.

შოტლანდიის პირველმა მინისტრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რაკი ბრიტანეთის გაერთიანებულ სახელმწიფოს შემადგენლობაში ევროკავშირში დარჩენა ვერ ხერხდება, რჩება ერთადერთი გამოსავალი: დამოუკიდებლობის გამოცხადება და ევროკავშირში დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით გაწევრიანება.

ამ განცხადებას ლონდონის რეაქცია უკვე მოჰყვა. ბრიტანეთის მთავრობის წევრმა ფოქსმა, რომელიც ევროკავშირთან ურთიერთობებს კურირებს, განაცხადა, რომ ევროკავშირიდან გასვლა ხანგრძლივი პროცესია.

– სავარაუდოდ, ეს პროცესი მხოლოდ 2019 წელს დასრულდება, – ამბობს ფოქსი.

# თურქეთი სიკვდილით დასჯის აღდგენას აპირებს

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ილდირიმ ბინალიმ დაადასტურა, რომ ქვეყნის პარლამენტი სიკვდილით დასჯის შემოღების საკითხზე იმსჯელებს.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი განმარტავს, რომ ეს არის ხალხის თხოვნა, რომლის იგნორირებაც ხელისუფლებას არ შეუძლია.

– ამ საკითხზე პარლამენტში იმსჯელებენ, – განაცხადა ბინალი ილდირიმმა.

თურქეთმა სიკვდილით დასჯა 2004 წელს გააუქმა, ბოლოს ქვეყანაში სიკვდილით დასჯის ფაქტი 1984 წელს მოხდა.

თურქეთის პრემიერის განცხადებას დასავლეთის მწვავე რეაქცია მოჰყვა.

აშშ და ევროკავშირი მოუწოდებენ თურქეთს, დაიცვას კანონის უზენაესობის პრინციპი.

შესაბამისი განცხადება აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ და ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთეს.

მოგერინის თქმით, ევროკავშირი ხაზს უსვამს თურქეთში კანონის უზენაესობის მნიშვნელობას.

– თურქეთი პატივს უნდა სცემდეს დემოკრატიას, ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს. ვერც ერთი ქვეყანა ვერ გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, თუ იქ სიკვდილით დასჯა მოქმედებს, – დასძინა მოგერინიმ.

მანამდე, ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა მოსაზრება გამოთქვა, რომ თურქეთის ხელისუფლება სამხედრო გადატრიალების მცდელობას ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლისთვის იყენებს.



თურქეთში დაკავებები გრძელდება. ქვეყანაში თითქმის 9.000 პოლიციელს მუშაობის უფლება შეუჩერდა, დაკავებულია 100-ზე მეტი გენერალი.

# კერი: „იმედია, ერდოღანი უფლებამოსილებების გაზრდას არ შეეცდება“



აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ვაშინგტონი მხარს უჭერს თურქეთის დემოკრატიული გზით არჩეულ ხელისუფლებას. იმავდროულად მან აღნიშნა, რომ არასასიამოვნო შთაბეჭდილებას იწვევს ის რიტორიკა, რაც თურქეთში წარუმატებელი პუტჩის შემდეგ შეინიშნება.

– დარწმუნებული ვარ, რომ თურქეთის სამართალდამცავი ორგანოები ყველა დამნაშავეს გამოავლენენ და ისინი სასამართლოს წინაშე წარდგებიან. ამავე დროს, იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტი ერდოღანი უფლებამოსილებების კიდევ უფრო გაზრდას არ შეეცდება, – თქვა ქერიმ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა ბრალდებები აშშ-ს მიმართ პუტჩისტებისადმი მხარდაჭერის თაობაზე.

– ესაა უპასუხისმგებლო ბრალდებები, რაც თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობებს ზიანს აყენებს, – თქვა კერიმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

საერთაშორისო

# შვედეთის პრინცი საზოგადოებას წარუდგინეს

შვედეთის პრინცი, ოთხი თვის ოსკარი პირველად დაესწრო ოფიციალურ ღონისძიებას.

პრინცის დედის, პრინცესა ვიქტორიას დაბადების დღე ეროვნულ ზეიმად ითვლება და საზეიმო ღონისძიების ნაწილი სამეფო ოჯახის საზაფხულო რეზიდენციაში ბორგჰოლმში გაიმართა. პრინცესას 39 წელი შეუსრულდა.

ოსკარის გარდა პრინცესას ღონისძიებაზე გვერდს უმშვენებდა მეუღლე, პრინცი დანიელი და ქალიშვილი ესტელი. იუბილარისთვის დაბადების დღის მისალოცად მივიდნენ მისი მშობლები, მეფე კარლ გუსტავი და დედოფალი სილვია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.



## განცხადებები

● ვაქირავებ საკუთარ სახლს ხეხილის ბაღით ხანგრძლივი დროით. ტელ: 557-68-83-43.

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემორროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა მაკედონია გაანადგურა



საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა საბერძნეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის მეორე მატჩში მაკედონია დაამარცხა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ტურნირის სადებიუტო შეხვედრაში ჩერნოგორიასთან 55:78 წააგო, შემდეგ კი მაკედონიას შეხვდა და 24 ქულით – 85:61 იმარჯვა.

საქართველოს ნაკრებმა მწყობრად და დალაგებულად ითამაშა, რისი წყალობითაც პირველივე მეოთხედში დიდი უპირატესობა მოიპოვა. ქართველებმა საწყისი პერიოდი 30:8 მოიგეს და მატჩის ბედი ფაქტობრივად დიდი შესვენებისთვის გადაწყვიტეს, როცა მეორე მეოთხედში 23:12 იმარჯვეს და პირველი ნახევრის შემდეგ 33 ქულით დაწინაურდნენ.

საქართველოს ნაკრებს უპირატესობა ყველა კომპონენტში ჰქონდა – ფარქვეშ თუ პერიმეტრზე. ჩერქეზიშვილის გუნდმა მეტოქეზე 10-ით მეტი მოხსნა მიითვალა, შედეგიან პასებში კი 14 ერთეულით აჯობა მეტოქეს.

დღეს ჩვენები სომხებს დაუპირისპირდებიან, ხვალ კი პორტუგალიასთან აქვთ ჯახი.

# საქართველომ ზიმბაბვე დაამარცხა და დივიზიონში დარჩა



მზიურის კორტებზე დასრულდა დევისის თასის გათამაშების ევრო/აფრიკული მეორე ზონის სარელეგაციო პლეი-ოფი, საქართველოს და ზიმბაბვეს ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრებთა შორის. საქართველოს ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრებმა მეტოქეს დაძაბულ ბრძოლაში 3:2 სძლია და დევისის თასის II ჯგუფის ევრო-აფრიკულ ზონაში ადგილის შენარჩუნება მოახერხა.

თბილისში გამართული დაპირისპირების საწყისი დღის შემდეგ, ანგარიში თანაბარი იყო. ბენჯამინ ლოკმა (რეიტინგში 790-ე) გიორგი ცივაძეს (1.020-ე) 3:6, 6:0, 7:5, 6:7 (2:7), 6:4 სძლია, ხოლო საქართველოს ნაკრების ლიდერმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა (121-ე) მარკ ფინს (1.123-ე) 6:3, 6:3 6:2 მოუგო.

მეორე დღეს ნიკოლოზ ბასილაშვილი და ნოდარ ითონიშვილი (ურეიტინგო) ბენჯამინ და კორტნი ჯონ ლოკების (1.602-ე) დამარცხებასთან ძალიან ახლოს იყვნენ, თუმცა, რამდენიმე მატჩბოლი ვერ გამოიყენეს და 6:3, 6:3, 6:7 (6:8), 4:6, 4:6 წააგეს.

ამრიგად, საერთო ანგარიში გახდა 2:1 ზიმბაბვეს ნაკრების სასარგებლოდ.

საბედნიეროდ, მასპინძლებმა დასკვნით დღეს ერთეულთა ორივე შეხვედრაში იმარჯვეს და საბოლოოდ, 3:2 მოიგეს. ბასილაშვილმა ბენჯამინ ლოკს 6:3, 6:4, 6:2 სძლია, ხოლო ცივაძემ ფინს აჯობა – 6:3, 7:5, 6:3.

# ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებისთვის 10 კანდიდატია



უეფას ვებგვერდმა იმ ფეხბურთელების სია დაასახელა, რომლებიც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებისთვის იბრძოლებენ.

სიაში მოხვედრილნი არიან ის ფეხბურთელები, რომლებმაც ევროპა ლიგაზე, ჩემპიონთა ლიგაზე, ევროპის ჩემპიონატზე და შიდა ჩემპიონატებში გამოიჩინეს თავი.

5 აგვისტოს ეს სია 5 ფეხბურთელამდე შემცირდება, კენჭისყრის დღეს კი ევროპის საუკეთესო მოთამაშის ვინაობა გახდება ცნობილი.

**ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისთვის სადღეისოდ იბრძვიან:** გარეთ ბეილი (რეალი, უელსი); ჯიჯი ბუფონი (იუვენტუსი, იტალია); ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო, საფრანგეთი); ტონი კროოსი (რეალი, გერმანია); ლეო მესი (ბარსელონა, არგენტინა); თომას მიულერი (ბაიერნი, გერმანია); მანუელ ნოიერი (ბაიერნი, გერმანია); პეპე (რეალი, პორუტგალია); კრიშტიანო რონალდუ (რეალი, პორტუგალია); ლუის სუარესი (ბარსელონა, ურუგვაი).

# დინამოს ველევი გამოაკლდა

ერევანში მყოფ თბილისის დინამოს ნახევარმცველი სტეფან ველევი გამოაკლდა. როგორც ირკვევა, ბულგარელი ფეხბურთელი დაშავდა და ალაშკერტთან განმეორებით მატჩში გუნდს ვერ დაეხმარება.

ბულგარელი სამედიცინო პროცედურებს გადის და მოედანს, სავარაუდოდ, 3-4 კვირაში დაუბრუნდება.

ველევმა დინამოს მაისურით სულ 1 მატჩი ჩაატარა, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე სომხური ალაშკერტის წინააღმდეგ თბილისურ შეხვედრაში ბულგარელმა სრულად იასპარეზა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. ამასთან, ველევმა თამაში საყრდენ ნახევარმცველად დაიწყო, ხოლო უჩა ლობჟანიძის ტრავმის შემდეგ დაცვის მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ბარსელონას ლუკას ლიმა უნდა

## სატრანსფერო მიდი-მოდი

კატალონიის ბარსელონა კლუბის მთავარ მწვრთნელ ლუის ენრიკესთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

ლუის ენრიკეს მიმდინარე კონტრაქტს ვადა 2017 წლის ზაფხულში ეწურება, ახალი ხელშეკრულება კი შესაძლოა კიდევ 2 წლით გახანგრძლივდეს.

ბარსელონას ახალი სამიზნე სანტოსის ბრაზილიელი ფეხბურთელი ლუკას ლიმაა. ბარსელონას სპორტული დირექტორი რობერტ ფერნანდესი უქმეებზე ბრაზილიის სერია ა-ს მატჩს დაესწრო, სადაც ლუკასის თამაშს დააკვირდა.

ლიმა ნეიმარის ძალიან ახლო მეგობარია. კლუბში იმედი აქვთ, რომ თანამემამულე ლიმას ბარსას რიგებში გადასვლას ძალიან დაეხმარება.

ლუკას სანტოსთან კონტრაქტი 2017 წელს ეწურება. ფეხბურთელმა კოპა ამერიკაზე ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში ჯგუფური ეტაპის ყველა შეხვედრა ითამაშა და გოლის გატანაც მოახერხა.

ესპანელმა მეკარე დიეგო ლოპესმა კი ლონდონის ჩელსისთან მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა და ინგლისურ კლუბს უახლოეს დღეებში შეუერთდება.

დიეგო ლოპესი ჩელსიში ასმირ ბეგოვიჩის ალტერნატიულ ვარიანტად ითვლება, რომელიც სულ მალე ევერტონში გადავა.

მეკარის გარდა, ანტონიო კონტე ამ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარაზე საკუთარი გუნდის დაცვის ხაზის გაძლიერებას გეგმავს. აქედან გამომდინარე, ჩელსის ხელმძღვანელობა ასევე იტალიის ნაკრებისა და ტურინის იუვენტუსის მცველით, ლეონარდო ბონუჩის გადაბირებით არის დაინტერესებული.

თუ არისტოკრატები ბონუჩის ვერ იყიდიან, იმ შემთხვევაში გერმანიის ნაკრებისა და ვალენსიის მცველ, შკოდრან მუსტაფიზე გადაერთვებიან.

მუსტაფი 30 მილიონ ევროდაა შეფასებული და გერმანელის გადაბირებით მილანიც ინტერესდება.

მილანის ინტერის და ხორვატიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი, მარსელო ბროზოვიჩი შესაძლოა ლივერპულში გადავიდეს.

ნერაძურის ფეხბურთელის სანაცვლოდ, რომელსაც კონტრაქტი კლუბთან 2019 წლის ზაფხულამდე აკავშირებს, 25-30 მილიონის მიღება სურს.

მერსისაიდელები ბროზოვიჩის შეძენით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც კლუბი ჯორდან აიბმა დატოვა.

გასულ წელს ბროზოვიჩმა ინტერის მაისურით გამართულ 32 მატჩში 4 გოლის გატანა და 5 შედეგიანი პასის გაკეთება მოახერხა.



მერსისაიდული კლუბი ნიუკასლის ნახევარმცველის, ჟორჟინიო ვაინალდუმის გადაბირებითაცაა დაინტერესებული.

მას შემდეგ, რაც „წითლებმა“ დაუდის და ზიელინსკის ტრანსფერის გაჩარხვა ვერ შეძლეს, ისინი ვაინალდუმის ტრანსფერზე გადაერთვნენ.

ვაინალდუმს ნიუკასლთან კონტრაქტი 2020 წლამდე აკავშირებს. გასულ სეზონში ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა 38 მატჩი ჩაატარა და 11 გოლის გატანა მოახერხა.

# პაულო დიბალა: „მესი ჩემი კერპია“

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, არსებობს ფეხბურთელი, რომელსაც არგენტინის ნაკრებში ლეო მესის მემკვიდრედ მიიჩნევენ, თუმცა ისე მოხდა, რომ პაოლო დიბალას ახლახან დასრულებულ კოპა ამერიკაზეც არ უასპარეზია.

თუმცა, დიბალას ხელები არ ჩამოუყრია და მუხლჩაუხრელ შრომას აგრძელებს და თავის მომავალზე მორიდებით საუბრობს.



***– უკვე ერთი წელია ტურინში ხართ. როგორ შეაფასებდით ამ პერიოდს?***

– იუვესთან პირველი სეზონი საოცარი იყო. რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგაზე დაუმსახურებელი მარცხი გულდასაწყვეტია, მაგრამ ეს ფეხბურთია და ახლა მეტი აგრესიით გავაგრძელებთ თამაშს. სხვა მხრივ კი ვერც კი აღგიწერთ როგორი სიამოვნება მივიღე იმ დღით, როდესაც კონტრაქტის გასაფორმებლად გავეშურე.

***– მანამდე ფიქრობდით, რომ ოდესმე იუვენტუსში მოგიწევდათ თამაში, თუ უფრო სერიოზულ გრანდზე ფიქრობდით?***

– იუვენტუსი ისეთივე დიდი კლუბია, როგორიც რეალი, ბარსელონა და ბაიერნი. 2 წლის წინ იუვე ჩემპიონთა ლიგის ფინალში იყო, გასულ სეზონში კი სულ ცოტა დაგვაკლდა, რომ ბაიერნის ბარიერი გაგვევლო. რა თქმა უნდა, გვაქვს იმის რესურსი, რომ ევროპის უპრესტიჟულესი ტურნირი მოვიგოთ და იმედია, ეს ასეც მოხდება. ამ იუვენტუსს ყველაფერი შეუძლია. ამიტომაც არის ჩემთვის პატივი იუვენტუსში თამაში.

***– წელს 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებთ, შარშან 21 ნომერი გეცვათ.***

– მუდამ 9 ნომრიანი მაისურით ვასპარეზობდი, მაგრამ იუვენტუსში ის მორატას ხელში იყო. ამიტომაც ავიღე 21, რომელიც ჩემმა ერთ-ერთმა კუმირმა პირლომ დატოვა. ეს იყო დიდი პასუხისმგებლობა და მზად ვიყავი გამოწვევისთვის. საერთოდაც, დიდი პატივია გასახდელში ევრასთან, ჯიჯისთან, ბონუჩისთან და ბარძალისთან ყოფნა. გამიჭირდება თითოეულის ჩამოთვლა რადგან თითოეული საოცარია! უცნაური გრძნობა მაქვს აქ მოსვლის დღიდან. ეს ის არის, რაზეც ვოცნებობდი.

***– ესპანეთში მესის გადარებენ და თვლიან, რომ მალე ბარსელონას მაისურს მოირგებთ.***

– მესი რომ ჩემი კერპია, ეს არასოდეს დამიმალავს. არგენტინაში მასზე ყველა გიჟდება. მეც ვცდილობ, მისგან ბევრი რამ ვისწავლო. თუმცა, იუვენტუსში მხოლოდ ერთი წელია ვთამაშობ და ჯერჯერობით, აქ ყველაფერი მომწონს. მოვიგეთ იტალიის სუპერთასი, თასი და სკუდეტო, გულშემატკივრებისგან კი დიდ სითბოს ვგრძნობ. არასდროს დავფიქრებულვარ ტურინიდან აბარგებაზე და ალბათ, კიდევ დიდხანს არ დავფიქრდები.

***– მესიმ ოქროს ბურთი 5-ჯერ მოიგო. თქვენ რამდენჯერ მოახერხებთ იგივეს გაკეთებას?***

– ბევრს საუბრობენ ოქროს ბურთზე. ამბიციური ნამდვილად ვარ, მაგრამ ყველაფერს დაუღალავი შრომით უნდა მიაღწიო. ჩემთვის კი ეს ჯერ კიდევ ადრეა. სათანადოდ ვაფასებ შექებას. ეს ნიშნავს, რომ სწორ გზაზე ვიმყოფები, მაგრამ წინ კიდევ არაერთი გამოწვევა მელის.

***– რა არის თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი?***

– ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ოჯახს. დედაჩემს, რომელსაც რთული ცხოვრება აქვს გამოვლილი, ჩემი ძმები – ისინი მუდამ ჩემს გვერდით იყვნენ, როგორც მამა, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა. მეგობრებს ზურგს არასოდეს ვაქცევ და არასოდეს ვივიწყებ სიკეთეს, რომელიც ჩემ მიმართ განხორციელდა. მომავალი? იუვეში ბედნიერი ვარ და ვიქნები თუ არა 22 წელი აქ, ურთულესი კითხვაა. ყველაფერი ჩემზე დამოკიდებული არ არის. ეს ამბიციური ციფრია და რომ არ მოგატყუოთ, არასოდეს დავფიქრებულვარ.

***– შეგიძლიათ სამი სიტყვით შეადარო პირველი იტალიური კლუბი პალერმო და იუვენტუსი?***

– სიცილიური კლუბი ჩემი პირველი გოგოა, ხოლო იუვენტუსი – ჩემი მეგობარი გოგონაა.

# შედეგები

**17 ივლისი**

**ფეხბურთი**

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-კორონა ........................ 4:0
კრაკოვია-პიასტი ........................ 5:1

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-ორხუსი .................. 1:2
ოლბორგი-ჰორსენსი .................... 1:1
ბრონდბიუ-ესბიერგი .................... 4:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ელფსბორგი-გიოტებორგი ............ 1:1
აიკი-მალმიო ................................ 1:1
ჰამარბი-ფალკენბერგი .................. 3:3
იორებრო-ჰაკენი .......................... 0:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სტრომგოდსეტი-ტრომსო ............ 1:0
ბოდო გლიმტი-ოდ გრელანდი ....... 2:1
მიოლდე-სტარტი .......................... 2:2
სტაბეკი-ბრანი ............................ 1:1
სარპასბორგი-ლილესტრიომი ....... 3:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ილვესი-ჰიკი ................................ 1:0
ლახტი-როვანიემი ........................ 1:2
პკ 35-მარიეჰამნი ........................ 0:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ზოოპარკიდან გაქცეულმა ფოცხვერმა კინაღამ ქორწილი ჩაშალა

დიდ ბრიტანეთში დარტმუნდის ზოოპარკიდან გაქცეულმა ფოცხვერმა სახელად ფლავიუმ კინაღამ ქორწილი ჩაშალა.

მაქს უიკსმა და ჩარლი-ჯეინ სუეინმა ზოოლოგიურ ბაღში ადგილები საკუთარი საქორწინო ცერემონიისთვის ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაჯავშნეს. რა თქმა უნდა, ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ყველაფერი შესაძლოა ერთ დაუპატიჟებელ სტუმარს გაეფუჭებინა.

ფლავიუ ჯერ კიდევ 6 ივლისს გაიქცა და მისი დაჭერა დღემდე ვერ მოხერხდა. საქორწინო ცერემონიის უსაფრთხოდ ჩატარებისთვის წყვილს დამატებითი დაცვის თანამშრომლების ჩართვა მოუწევთ. ახლად შეუღლებულთა საზეიმო სუფრა ზოოპარკის რესტორანში გაიშლება, სამწუხაროდ, მუსიკის მოსმენა მათ დაბალ ხმაზე მოუწევთ.

– ძალიან ბედნიერი ვარ. ეს საზეიმო დღე თითქმის 10 ათასი ფუნტი დაჯდება, – განაცხადა 20 წლის უიკსმა.

ალსანიშნავია, რომ ფოცხვერის გაქცევის გამო ზოოპარკში პანიკა არ შეინიშნება. მათ, სავარაუდოდ, იციან, სად იმყოფება ფლავიუ. მათი აზრით, მტაცებელი იქვე



ახლო-მახლო იმყოფება, მის დასაჭერად ტრანკვილიზატორის გამოყენებას არ აპირებენ და ცხოველის შეტყუებას სხვადასხვა ხერხით ცდილობენ.

## კნუტმა მეგობარი ძაღლი დაამშვიდა



ვეტერინართან სტუმრობიდან დაბრუნებული მეგობარი ძაღლი კატის კნუტმა დაამშვიდა. ამ მოვლენის ამსახველი ფოტოსურათი სოციალურ ქსელებში იქნა გამოქვეყნებული.

– კარგია, როდესაც საუკეთესო მეგობარი გყავს, – ნათქვამია ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში.

ძაღლისა და კნუტის ფოტოსურათმა მასმედიის ყურადღებაც მიიპყრო და როგორც ერთ-ერთმა გამოცემამ აღნიშნა, ამ სულისშემძვრელმა ფოტომ ყველას „გულები გაალღო“.

სად და როდის იქნა სურათი გადაღებული, უცნობია. მასზე ასახულია ძაღლი, რომელსაც კისერზე დამცავი საყელური აქვს გაკეთებული, ხოლო მასში კნუტია მოკალათებული.

## გერმანელ რეჟისორს კატების ვიდეო ჰყვარებია



ცნობილმა გერმანელმა რეჟისორმა ვერნერ ჰერცოგმა აღიარა, რომ უყვარს კატების ვიდეოს ყურება. ეს აღიარება მან აქციის „მკითხეთ, რაც გინდას“ დროს გააკეთა.

ჰერცოგი ცნობილია ისეთი ფილმებით, როგორებიცაა „ვოიცეკი“, „ფიცკარალდო“, „შეხვედრა სამყაროს დასალიერს“, „ბედნიერი ადამიანები: ერთი წელი ტაიგაში“, „უდაბნოს დედოფალი“

რეჟისორს კერძოდ ჰკითხეს, რომელია მისი საყვარელი ცხოველი.

– მომწონს კატები, ვინაიდან ზოგჯერ ისინი ისეთი უცნაურები არიან. და ჩვენ ვნახულობთ მათ ვიდეოებს ინტერნეტში, მე მათი ფანი ვარ, – განაცხადა გერმანელმა რეჟისორმა.

გარდა ამისა, რეჟისორმა ისიც აღნიშნა, რომ არ უყვარს „სულელი“ წიწილები. ასეთ აღიარებას ჰერცოგი პირველად არ აკეთებს: მაგალითად, 2014 წელს ანალოგიური აქციის დროს ის ასევე საუბრობდა წიწილების მიმართ საკუთარ ნეგატიურ დამოკიდებულებაზე.

ახალი აქცია ჰერცოგის კინემატოგრაფიულ მასტერკლასს მიეძღვნა.

## ავტოგარბენში ათასამდე ფერარი მიიღებს მონაწილეობას



დაახლოებით ათასამდე ფერარის სპორტკარმა მოიყარა თავი გერმანიაში ყოველწლიურ ავტოგარბენი მონაწილეობის მისაღებად. ტრადიციისამებრ, გარბენის დაწყებამდე ლონისძიება ღვთისმსახურმა დალოცა. წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად რაიმე სახის ავტოსაგზაო შემთხვევას ან ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.

ფერარის სპორტკარის მფლობელთა შეხვედრა გერმანიის ქალაქ ფულიდში გაიმართა, რომელიც ჰესენის ფედერალურ მიწაზე მდებარეობს.

## ტურისტებს კრუიზს სთავაზობენ ცნობილი ფილმების გადაღების ადგილებში

ტურისტებს ახალი ნახევარწლიანი კრუიზი შესთავაზეს 13 ცნობილი ფილმის გადაღებების ადგილებში. ამ მოგზაურობის ღირებულება 104 ატას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

ამასთან ალსანიშნავია, რომ უბრალოდ ფულის გადახდა საკმარისი არ არის: პოტენციურ კლიენტებს შესთავაზებენ ტესტს ფილმების ცოდნაზე. მათ 16 კითხვას უნდა გასცენ პასუხი.

გამოცდის წარმატებით ჩამბარებელ ტურისტებს შეეძლებათ „ააღორძინონ“ სცენები ფილმ „ყბებიდან“ მასაჩუსეტსში და „ადამიანი-ობობა“ ნიუ-იორკში, „კაზინო როიალი“ ბაჰამის კუნძულებზე, „ბეჭდების მბრძანებელი“ ახალ ზელანდიაში, „პლიაჟი“ ტაილანდიში, „ვარსკვლავური ომები“ არაბთა გაერთიანებულ საემიროებში.

პროგრამაში ასევე შედის იმ ადგილების მონახულება, სადაც მიმდინარეობდა ფილმების „ნათლიმამა“, „კარგი, ცუდი, ბოროტი“, „მამა მია!“, „ლამაზმანი“, „იურული პერიოდის სამყაროს“ გადაღებები.




მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## 86 წლის ამერიკელს 86-ე შვილთაშვილი შეეძინა



ამერიკელი ქალბატონის მერი ფრეის ბიოლოგიური შვილთაშვილების რაოდენობა მის ასაკს გაუტოლდა. ახლა უკვე 86 წლის ამერიკელ ქვრივს 86 შვილთაშვილი ჰყავს.

მერის და მის მეუღლე ჯერალდს 15 შვილი ჰყავდათ, რომლებიც თავის მხრივ 68 საკუთარი და ექვსი ნაშვილები ბავშვის მშობლები გახდნენ. ახლა უკვე ამერიკელ ქალბატონს 86 საკუთარი და ცხრა ნაშვილები შვილთაშვილი ჰყავს.

უახლოეს მომავალში მერი ფრეი კიდევ ორჯერ გახდება დიდი ბებია: მისი „ნომერი 87“ შვილთაშვილი ქვეყანას მიმდინარე წლის აგვისტოში მოევლინება, ხოლო „ნომერი 88“ ზამთარში დაიბადება.

– ირგვლივ მიმოვიხედავ და ვფიქრობ, რომ ჩვენ გაგვიმართლა, – განაცხადა ფრეიმ. მისი თქმით, მან თავისი ყველა შვილიშვილისა და შვილთაშვილის სახელი იცის.

## ასტროპროგნოზი
### 19 ივლისისთვის



**ვერძი** – არაკეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური საქმიანობისათვის. წარმატება გელით ინდივიდუალური მუშაობისას. დღის მეორე ნახევარში იფრთხილეთ, რადგან ტრავმის მიღების ალბათობა იზრდება. **კურო** – აქტიურად დაისვენეთ, გააანალიზეთ მოვლენები, დაგეგმეთ მნიშვნელოვანი საქმეები. ერიდეთ ექსპერიმენტებს. **ტყუპები** – დღის პირველ ნახევარში ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ შორ გზაზე მგზავრობას, ასევე – ახალ ნაცნობობას. **კირჩხიბი** – თუ მსხვილი საქმიანი კონტრაქტი შემოგთავაზეს, დათანხმდით. წარმატების გარანტი თქვენი ახლო გარემოცვაა. **ლომი** – ივარჯიშეთ, ფიზიკური დატვირთვა ძალიან წაგადგებათ. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** – კოლექტიური საქმიანობა სასურველი არ არის. შედეგები უარყოფითი იქნება. იყავით გულმოწყალე და მიმტევებელი. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი საქმე წარმატებით დაგვირგვინდება. რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა არ გაგიჭირდებათ. **ღრიანკალი** – საყიდლებზე წასასვლელად, ძვირფასი ნივთების შესაძენად შესაფერისი დღეა, ასევე, წარმატებული იქნება მსხვილი კაპიტალდაბანდება. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – პროფესიონალურ სფეროში. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **თხის რქა** – ახალი საქმის დაწყება უშედეგო იქნება. უმჯობესია, თუ ძველ, მივიწყებულ საქმეებს დაამთავრებთ. **მერწყული** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ქალაქგარეთ გასვლასა და ხალხმრავლობას ერიდეთ. **თევზები** – იმედგაცრუებისა და ცდუნების პერიოდია. შესაძლოა, ნათესავებთან ურთიერთობა გაგირთულდეთ. ენერგია დაზოგეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 2. ამერიკული სიგარეტი; 3. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 4. კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებული პირი; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. ოფიციალური სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 12. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 14. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 16. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 17. ძალიან პატარა, სპეციალური სარბოლო მანქანა; 19. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 21. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად:** 5. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 6. ბერძნული ფილოლოგიის სპეციალისტი; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ცისფერი ძვირფასი ქვა; 13. სისხლის ნებაყოფლობით გამღები პირი; 15. მოკლე დისტანციაზე მოასპარეზე სადოლე ცხენი; 18. სისხლის თხევადი ნაწილი; 20. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 22. ქალაქის თავი ჩეხეთში; 23. ივლისის თვის ქართული სახელწოდება; 24. ოთხცხენიანი ანტიკური, ორთვალა ეტლი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. მასაჩუსეტსი; 7. მელოდია; 8. კლიმატი; 9. კაკალი; 13. მასა; 14. ბალბოა; 18. პატრიარქი; 19. კარტი; 21. ლიტრი; 22. კამერა; 23. ნასტურანი; 24. კრისტალი.

**შვეულად:** 1. კაკანათი; 2. აჩრდილი; 3. ასალი; 4. მეჯლისი; 5. იდიოტია; 10. ლაბილური; 11. მარსელიეზა; 12. კობალტი; 15. კრიმინალი; 16. კვინტა; 17. პატრიცია; 20. მითრა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კაფია; 2. ცინკი; 3. სკა; 4. მიზანი; 5. ფანი; 6. ჩინი; 7. ასალი; 8. ალანია; 9. საგა; 10. ანგინა; 11. პა; 12. გილიოტინა; 13. და; 14. ილი; 15. ლუი; 16. იაბო; 17. აბი; 18. მაუდი; 19. ბანი; 20. მორჩილი; 21. ვარია; 22. ვაი; 23. ისლი; 24. ბოა; 25. ახო; 26. მერხი; 27. ნავიე; 28. ვალაბი; 29. მერი; 30. თეთრი; 31. არხიპ; 32. ასო; 33. კოინდარი; 34. ყაიმი.

**სურათებზე:** ჯოან როულინგი; პედრო როდრიგესი.

სპორტი

## სპორტინგი ჟოაო მარიოს გაშვებას არ აპირებს

ლისაბონის სპორტინგის პრეზიდენტმა ბრუნო დე კარვალიომ განაცხადა, რომ შემტევი ნახევარმცველი ჟოაო მარიო არ იყიდება და ის გუნდს არ დატოვებს.

კარვალიოს თქმით, სპორტინგი თავის ლიდერებს არ უშვებს, ხოლო ჟოაო მარიო მათი ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია.

ჟოაო მარიომ ძალიან კარგად ჩაატარა ევროპის ჩემპიონა-




ტი და სწორედ ამის შემდეგ მისით რამდენიმე ევროპული კლუბი დაინტერესდა.

ყველაზე მეტად მილანის ინტერი აქტიურობს, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში 40 მილიონ ევრომდე გადაიხადოს. გარდა ამისა, რამდენიმე ინგლისურ გუნდსაც სურს ჟოაო მარიოს თავის რიგებში ხილვა, ამიტომ სავარაუდოდ ლისაბონის სპორტინგს მისი შენარჩუნება გაუჭირდება.

## მესი ბარსელონასთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს



ბარსელონას ლიდერი ლიონელ მესი გუნდთან კონტრაქტს 2021 წლამდე გაახანგრძლივებს. ამის შესახებ ესპანური პრესა იტყობინება.

მესი ახალ კონტრაქტს ხელს შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მოაწერს, ანუ ეს დაახლოებით აგვისტოს დასაწყისში მოხდება.

ამჟამად მესი დამსახურებულ შვებულებაში იმყოფება და ფეხბურთისგან ისვენებს. წლევანდელი ზაფხული ლეოსთვის საკმაოდ რთული გამოდგა, რადგან ის გადასახადების გადაუხდელობაში ცნეს დამნაშავედ, გარდა ამისა, კოპა ამერიკის ფინალში მარცხის შემდეგ მესიმ ნაკრებში თამაშზე უარი თქვა და ჯერჯერობით უცნობია, დაბრუნდება თუ არა ეროვნულ გუნდში.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## დინამოს ველევი გამოაკლდა

დასაწყისი მე-9 გვერდზე



ველევის გამოკლების შემდეგ დინამოს საკადრო პრობლემები ექნება. თუ ლობჟანიძემ ბოლომდე ვერ მოასწრო გამოჯანმრთელება, დაცვის მარჯვენა ფრთა მოშიშვლებული მოჩანს. სხვა შემთხვევაში პრობლემა არ იქნება, რადგან მოედნის ცენტრში ველევის ადგილს, სავარაუდოდ, მათე ცინცაძე დაიკავებს.

დინამოელებმა ერევნის ვაზგენ სარგსიანის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე ივარჯიშეს და გუნდის მთავარი მწვრთნელის, იურაი იარაბეკის თქმით, ფეხბურთელები საბრძოლო განწყობაზე არიან.

ალაშკერტი-დინამოს საპასუხო შეხვედრა 19 ივლისს, 19:00 სთ-ზე დაიწყება და მას შვედ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი მსაჯი 31 წლის მოჰამედ ალ-ჰაკიმი იქნება. მთავარ არბიტრს ასისტენტობას დანიელ გუსტავსონი და პეტერ მაგნუსონი გაუწევენ. მეოთხე მსაჯის ფუნქციებს კასპარ სიობერგი შეასრულებს. უეფას დელეგატი, რუმინელი პაულ დანიელ ზაქარია იქნება, ხოლო მსაჯთა დამკვირვებელი უკრაინელია – იგორ იშენკო.

## სამგლოვიარო განცხადებები

ბონდო ებანოიძე, მზია თვალჭრელიძე, ქეთევან კვინტრაძე, ცისანა ქემერტელიძე, ნუგზარ ღირსიაშვილი, ივანე ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნებისა და ღირსეული მოქალაქის

**იგორ ნემსაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## დავით აღმაშენებელი მსოფლიოს საუკეთესო მთავარსარდლად დასახელდა



საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მეფე დავით IV აღმაშენებელი მსოფლიოს საუკეთესო მთავარსარდლად დასახელდა.

დავით აღმაშენებელმა, რომელიც ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, ერთ-ერთ უცხოურ ვებგვერდზე პირველობა არ დაუთმო ალექსანდრე მაკედონელს, ნაპოლეონ ბონაპარტს, ჩინგიზ ყაენს, იულიუს კეისარს და მსოფლიოში ცნობილ სხვა მთავარსარდლებს.

რჩეულ მხედართმთავართა ათეული ინტერნეტმომხმარებლებმა შეარჩიეს. მხედართმთავართა ჩამონათვალში რამდენიმე ქართველი მოხვდა, მათ შორის დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე, ვახტანგ გორგასალი და იოსებ სტალინი.

ვებ გვერდმა რჩეული 10 მხედართმთავრის სია გამოაქვეყნა, რომლებიც მსოფლიოს ყველა დროის უძლიერეს მხედართმთავრებად დასახელდნენ. მსოფლიოს საუკეთესო და გამორჩეულ სამხედრო გენერალთა შორის პირველი ადგილი დავით აღმაშენებელმა დაიკავა:

დავით IV აღმაშენებელი – საქართველოს მეფე;

ალექსანდრე მაკედონელი – მაკედონიის მეფე;

ტრან ჰუნგ დაო – უმაღლესი მთავარსარდალი ვიეტნამში;

ნაპოლეონ ბონაპარტი – საფრანგეთის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი;

ჰანიბალ ბარკა – კართაგენის მხედართმთავარი;

იულიუს კეისარი – ძველი რომის სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი;

ჩინგიზ ყაენი – მონღოლი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერი;

ვო ნგუენ ზიაპ – ვიეტნამელი გენერალი;

ხალიდ იბნ ალ ვალიდი – მუსლიმი არაბი მეომარი და გენერალი;

ნგუენ ჰიუე – გლეხთა ომის ბელადი ვიეტნამში.

## ქაშვეთის ეკლესიაში დავით სარაჯიშვილის საფლავი „სტაიანკად“ იქცა



თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე ქაშვეთის ეკლესიის ეზოში ქართველებისთვის გამორჩეული პიროვნება, საზოგადო მოღვაწე და მეცენატი დავით სარაჯიშვილია დაკრძალული.

ინტერნეტში ვრცელდება ფოტოები, სადაც ასახულია, როგორ არის დავით სარაჯიშვილის საფლავში „სტაიანკად“ ქცეული.

## გიორგი სუხიტაშვილი ნანული აბესაძისთვის ვარსკვლავის გახსნას ითხოვს

„ჯეოსტარის“ გამარჯვებული მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი ცნობილი ქართველი მომღერლისთვის, ნანული აბესაძისთვის ვარსკვლავის გახსნას ითხოვს.



**გიორგი სუხიტაშვილი:**

– ნანული აბესაძეს შეუსრულდა 80 წელი, გაიმართა მისთვის მიძღვნილი კონცერტი, რომელიც ძალიან თბილი და უშუალო გამოვიდა.

მავანნო, რომ გაივლით იმ ვარსკვლავებთან, ვისი ვარსკვლავიც გახსნილია ფილარმონიასთან, აუცილებლად ჰკითხეთ საკუთარ თავს, ნანული აბესაძის ვარსკვლავი უნდა იყოს თუ არა მანდ, სირცხვილია!

დიდხანს იცოცხლოს ნანულიმ და იმ ადამიანებმა, ვისაც უყვარს ხელოვნება, ვინც ხედავს ღვაწლს და ვისთვისაც მხოლოდ საკუთარი მე არ არის სამყარო.

## როსინის საოპერო ფესტივალში 4 ქართველი მონაწილეობს




როსინის საოპერო ფესტივალი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ფესტივლად არის აღიარებული კლასიკური მუსიკის მოყვარულ საზოგადოებაში.

წლევანდელ ფესტივალში მსოფლიოს სხვადასხვა მუსიკოსებთან ერთად 4 ქართველი მონაწილეობს.

ფესტივალზე მისული მსმენელის წინაშე წარდგებიან პიანისტი თამუნა გიგუაშვილი, მომღერლები სალომე ჯიქია, დიმიტრი ფხალაძე და მევიოლინე ქეთი აბიათარი.

## ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ნინო სურგულაძე ინიშნება?



მას შემდეგ, რაც ოპერის თეატრის დასმა სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან დავით კინწურაშვილი გადააყენა, უკვე დაიწყო საუბარი მის შემცვლელებზე.

ერთ-ერთ კანდიდატურად საოპერო მომღერალი ნინო სურგულაძე მოიაზრება.

ინტერნეტში უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ თანამდებობაზე დავით კინწურაშვილს ნინო სურგულაძე შეცვლის.

თავად საოპერო მომღერალი ამ ფაქტზე არ საუბრობს.

დავით კინწურაშვილი იურიდიულად მაინც სამხატვრო ხელმძღვანელად ითვლება. მისი თანამდებობიდან გადაყენებას კულტურის მინისტრის ბრძანება და ხელმოწერა სჭირდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## TV პროგრამა

**სამშაბათი
19 ივლისი**

**07.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.10** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" **15.00** დ/ფ "თოფ – გიარი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოება**" **19.00** "კომუნიკატორი" **20.50** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.30** ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" **22.30** "ოლიმპიური დღიური" **23.00** მხ/ფ "**ტოპაზი**" **01.20** მხ/ფ "**მოციქული**"

**08.00, 16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ "**გულის მოგზაურობა**" **16.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **17.30** "გააგრელე საქართველოს ისტორია" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** **ფეხბურთი** - ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ტურნირი" **2** ეტაპი: "**ალაშკერტი**" სომხეთი - "**დინამო**" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა **22.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **00.30** მხ/ფ "**შეწყვეტილი ურთიერთობა**" **02.05** მხ/ფ "**ბოროტების ქსელი**" (ტ.ჰ ენკსი)

**05.00** სერ. "**დახურული სკოლა**" **06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.20** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბაბის ველი**" **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცოდნა ფულია **23.20** გრიფით საიდუმლო **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **01.00** მხ/ფ "**კარლიტოს გზა**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" - **მეამბოხეები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 0.45** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 2.30** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.00** მხ/ფ "**ბუზი**"

**06.10** სპექტაკლი "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი-ტყუილზე დაფიცების შესახებ **10.40** საქართველოს ქალაქები-"სიღნაღი" **11.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მხ/ფ "**ჩვენი ეზო**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "თეთრყვავილა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ტელე ზღაპარი "იმპერატორის ბულბული" **15.50** დ/ფ "გახსოვდეს სიკვდილი-მემენტო მორე" **16.20** კონცერტი **17.15** მგზავრები წუთისოფლისა **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დროის ჩანაწერები-დავით წერედიანი **20.40** ძილი ნებისა "წუნა და წრუწუნა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი "ქრისტიანობა და განმანათლებლობა" II ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დიდ ხარ შენ უფალო-ანტიოქიის ეკლესიის გამრავლება **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00: 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.55, 19.05** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ქალბატონი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**სტანიცა**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**19 ივლისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3407 |
| ევრო | 2.6075 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1255 |
| 100 რუსული რუბლი | 3.7049 |

## ამინდის პროგნოზი 19 ივლისისთვის





## 15 ივლისიდან




ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

**სამხედრო მფრინავი**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


## იუმორი



●●●

ცოლი ქმარს უყვირის:

– ღვინო, არაყი და ლუდია შენი დაუძინებელი მტერი!

– მერე, რა გინდა, ქალო, მტერს შევუშინდე?! ვერ მოგართვი!!!

●●●

ჰიპნოზიორი მეგობართან ერთად მიდის ქუჩაში და საკუთარ უნარში მის დასარწმუნებლად ეუბნება:

– ახლა მეოთხე სართულიდან ტელევიზორს გადმოაგდებენ.

ცოტა ხანში სარეცხი მანქანა გადმოვარდა.

– ტელევიზორი! – ჩურჩულებს ჰიპნოზიორი.

მეოთხე სართულიდან რადიო გადმოვარდა, მერე მაცივარი, მერე უთო, ბოლოს აივანზე კაცი გადმოდგა და დაიყვირა:

– არ მაქვს, ბატონო, ტელევიზორი და რა ვქნა?!

●●●

სარკის წინ მოტრიალე დედას, რომელიც კოსმეტიკას ისვამს სახეზე, ბავშვმა დიდხანს უყურა და ბოლოს ეკითხება:

– დედიკო, ზანგებს პუდრი შავი ფერის აქვთ?

●●●

ტელეფონის ზარი:

– ალო, ეს სახანძროა?

– დიახ.

– იცით, რაშია საქმე? აქ ექიმი და პოლიციელი ჩხუბობენ და არ ვიცი, ვის მივმართო...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ჩემი მკვეთრი შენიშვნის გამო ნაწყენი ხომ არ ხარ?

– შენ წარმოიდგინე, მიდიხარ ქუჩაში და გესმის, როგორ გაყენებს შეურაცხყოფას ძირს დაგდებული ვიღაც მაწანწალა. გეწყინებოდა?

– ვიღაც მაწანწალას სიტყვები რა ყურადღება მისაქცევია?

– ჰოდა, არც მე მიმიქცევია ყურადღება.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– შენს დაბადების დღეზე ყველაზე ლამაზი შენ იყავი.

– მადლობა, ძალიან ვეცადე!

– სტუმრები საგანგებოდ შეარჩიე?

●●●

სტუმარი მასპინძელს ეკითხება:

– ამ წვნიანს რომ ვჭამ, თქვენი ძაღლი რაღაც უცნაურად მიყურებს.

– ეგ ყველას მასე უყურებს, ვინც მისი ჯამიდან ჭამს საჭმელს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 20 ივლისიდან

ბექა ქურხული

**სამოთხიდან გაქცეულები**

სამოთხიდან გაქცეულები ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულის მხატვრული რეტროსპექტივაა.

სამი მეგობრის ოდისეა სულისშემძვრელი ამბებით, სევდიანი, ზოგჯერ ტრაგიკული შინაარსით, იმ ეპოქის ფონზე იშლება, რომელიც ბოლომდე ჯერაც ვერ წაიკითხა და გაიაზრა ჩვენმა საზოგადოებამ.




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 19 ივლისიდან




ჰენრიკ სენკევიჩი

**ჯვაროსნები**

ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 22 ივლისიდან




ჰენრიკ სენკევიჩი

**ჯვაროსნები**

ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## პრინც ჯორჯს დაბადების დღეზე ლეკვს აჩუქებენ

ბრიტანეთის პრინცი ჯორჯი დაბადების დღეზე ბალონკის ლეკვს მიიღებს საჩუქრად. ამ ინფორმაციას ბრიტანული მასმედია ავრცელებს სამეფო ოჯახთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით. 22 ივლისს ტახტის მემკვიდრე სამი წლის გახდება.



არსებული მონაცემებით კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია აპირებენ, შვილს ძაღლი უყიდონ. ფერადი ბალონკის ფასი 1,8 ათას ფუნტს აღწევს.

ამ ჯიშის ძაღლზე არჩევანი სამეფო ოჯახმა იმიტომ შეაჩერა, რომ მისი ბეწვი არ იწვევს ალერგიას. გარდა ამისა, ამ ჯიშის ძაღლები ენერგიულები, ძლიერები და ხალისიანები არიან, რაც იდეალური იქნება ჯორჯისთვის, ასევე მათ მუხლებზე ჯდომა უყვართ.

ამ დროისთვის პრინც უილიამისა და კეიტის ოჯახს უკვე ჰყავს კოკერ-სპანიელი ლუპო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რობენი 6 კვირას გამოტოვებს

ბაიერნის ჰოლანდიელი ფეხბურთელი არიენ რობენი ბოლო რამდენიმე წელიწადში ტრავმებმა გააწამეს. რობენს გასულ სეზონში საკმაოდ ბევრი გაუცდა და, როგორც ჩანს, მან ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა.



ამჯერად რობენმა თავისი გუნდის ერთ-ერთ ამხანაგურ შეხვედრაში მიიღო ტრავმა და 36-ე წუთზე მოედანი დროზე ადრე დატოვა.

სავარაუდოდ, ჰოლანდიელ ფეხბურთელს უქმად ყოფნა 6 კვირის მანძილზე მოუწევს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის სეზონის დასაწყისს გამოტოვებს. რობენი უკვე 32 წლის არის და ხშირი ტრავმების გამო მან შესაძლოა კარიერა ნაადრევადაც დაასრულოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იგუაინისთვის ბრძოლაში იუვენტუსიც ჩაერთო

ნაპოლის არგენტინელ ფორვარდზე გონსალო იგუაინზე დიდი მოთხოვნილებაა და მისი თავის რიგებში ხილვა ბევრ ევროპულ გრანდს სურს.

იგუაინის მსურველების რიცხვს იტალიური ფეხბურთის ფლაგმანი იუვენტუსიც მიემატა, რომელიც ახალ ფორვარდს ეძებს, მას შემდეგ, რაც გუნდი ალვარო მორატამ დატოვა. იუვე ნაპოლისთან მოლაპარაკებებს ამ კვირაში გამართავს.



იგუაინის ყიდვა სურს ლონდონის არსენალსაც, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში 60 მილიონ ევროზე მეტი გადაიხადოს.

ბევრი რამ თვითონ გონსალოზე იქნება დამოკიდებული და მას ჯერ საბოლოოდ სიტყვა არ უთქვამს იმის შესახებ, თუ რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ჰარი პოტერის ფანებმა სასადილო ჰოგვარდს დაამსგავსეს



დიდ ბრიტანეთში ჰარი პოტერის ფანებმა საკუთარი სასადილო ჯადოქრების სკოლის დიდ დარბაზს ჰოგვარდს დაამსგავსეს. ამ ინფორმაციას ბრიტანული მასმედია ავრცელებს.

სასადილოს თემატური გადაკეთებისთვის შარლოტა კირიაკსა და მის მეუღლე ენდრიუს 18 თვე დასჭირდათ, ხოლო ჩატარებული სამუშაოები 13 ათასი ფუნტი სტერლინგი დაჯდა.

შრუსბერელი ოჯახური წყვილი სასადილოსთვის ნივთებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით იძენდნენ. კერძოდ, მათ შეიძინეს აღჭურვილობა და ჯადოსნური ჯოხები.

ბრიტანულმა ოჯახმა თემატური სასადილოს გაკეთება მას შემდეგ გადაწყვიტეს, როდესაც მათ ლონდონში ექსკურსიაზე მყოფებმა პოტერიანი დაათვალიერეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართველი მწერალი, რომან „რკინის თეატრის“ ავტორი; 2. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 3. მე-20 საუკუნის დასაწყისის მოხეტიალე ქართველი მევიოლინე, მომღერალი; 4. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 5. მარცვლეულის ამღები კომბაინის წინა სამკალი ნაწილი; 7. ირანის პარლამენტი; 11. ქუთაისთან დამეგობრებული ფრანგული ქალაქი; 12. საქირაო ეტლი ევროპის ქალაქებში ძველად; 13. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 14. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 15. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 17. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 19. უკრაინის პარლამენტი.

**თარაზულად:** 5. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი ძველად; 6. ფრანგული სიგარეტი; 8. თიხისა და თაბაშირის ნარევის გამოწვით მიღებული სამშენებლო მასალა; 9. ღვინის დანალექი; 10. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 11. აეროპორტი თელ-ავივში; 13. მცენარეულის მჭამელი ცხოველი; 14. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 16. მოძრავი სცენა თეატრში; 18. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 20. საზაფხულო ფეხსაცმელი; 21. პეკინის ისტორიული სახელწოდება.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი